პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 242 (11853)

კვირა, 16 ოქტომბერი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

მისასალმებელი დეპეშების გაცვლა

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). გზად ნიუ-იორკიდან სამშობლოში, როცა ნორვეგიასა და შვეიცას გადაუფრინა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა „ტუ-114“ თვითმფრინავიდან ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს ე. გერჰარდსენს და შვეიცის პრემიერ-მინისტრს ტ. ერლანდერს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები, რომლებშიც გამოთქმული იყო მეგობრული სურვილები ამ ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი და პირადად პრემიერ-მინისტრებისადმი.

ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე მიღებულია ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის ე. გერჰარდსენის შემდეგი საპასუხო დეპეშა:

„გმადლობთ თქვენი მეგობრული წერილისათვის, ნორვეგიელი ხალხისადმი, ნორვეგიის მთავრობისა და პირადად ჩემდამი. სიხარულს მგვრის გავუგზავნო საბჭოთა ხალხს, საბჭოთა მთავრობასა და პირადად თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ჩემი მხურვალე სალამი“.

შვეიცის პრემიერ-მინისტრმა ტ. ერლანდერმა ნ. ს. ხრუშჩოვს უპასუხა შემდეგი დეპეშით:

„მინდა მადლობა გამოვთქვა თქვენი მისასალმებისათვის შვეიცის ხალხისა და მთავრობისადმი და პირადად ჩემდამი. ჩემის მხრივ აგრეთვე გითვლით გულწრფელ სალამს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონება გაიმარჯვებს!

უდიდესი აღფრთოვანების ვითარებაში, თავისი სამშობლოს გაზრდილი ძლიერების ღრმა შეგნებით ემზადება საბჭოთა ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 43-ე წლისთავის შესახვედრად. ცოცხალი და მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია ყველგან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებმა. საბჭოთა ადამიანების გული აღსავსეა სამაყით მშობლიური სოციალისტური სახელმწიფოსათვის, რომელიც გამოდის როგორც თანამედროვეობის ყველაზე პროგრესული იდეების მატარებელი, ჩვენი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საქმიანობისათვის, რომლებიც ახორციელებენ ლენინურ პოლიტიკას, რაც შეესაბამება ისტორიის მოთხოვნებს, ხალხის საარსებო ინტერესებს.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი სამშობლოს შეუანშავი გამარჯვებებით, მისი საერთაშორისო ავტორიტეტისა და გავლენის ზრდით. კიდევ უფრო საგრძნობი და თვალსაჩინო გახდა დედამიწის ყოველი მცხოვრებისათვის საბჭოთა კავშირის ეკონომიკური ზრდა საერთაშორისო ასპარეზზე გასულ კვირეებში, როცა საბჭოთა ხალხის წარმომადგენლის ნ. ს. ხრუშჩოვის ხმა შთაგონებით ყოერად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის ტრიბუნიდან და აყრილად მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას თანამედროვეობის ძირეულ პრობლემებს.

გუშინ ნ. ს. ხრუშჩოვი და გენერალურ ასამბლეაზე სსრ კავშირის დელეგაციის ზოგიერთი სხვა წევრი მოსკოვში დაბრუნდნენ. ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით დედაქალაქის მშრომელები მხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურს, რომელიც საერთაშორისო ფორუმში ღირსეულად იცავდა მშვიდობისმოყვარული ლენინური პოლიტიკის, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჰუმანურ პრინციპებს.

განსაკუთრებული ძალით ყურეს ამ დღეებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება:

— **გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას — სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პაპანიცოლის, ფართო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას!**

ჩვენ ვცხოვრობთ გრანდიოზულ საზოგადოებრივ გარდაქმნათა ეპოქაში. მსოფლიოში ხდება მოვლენები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მთელი კაცობრიობის ბედისათვის. „ახალი ცხოვრება,—ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი,—ძლიერად იჭრება მსოფლიოში. შიუკავებლად ამსხვრევს ძველ ფორმებს. წმენდს დედამიწას ყოველივე ძირმომპალისაგან, რაც ხელს უშლის კაცობრობას იაროს წინ“.

ძმური ბორკილად ადევს ჯერ კიდევ კაცობრობას კოლონიალიზმის სისტემა. ამ სისტემას, თუ არ იქნა მიღებული უადრესად სასჩაფო ღონისძიებანი, შეუძლია კიდევ ბევრი ტანჯვა და მსხვერპლი მოიტანოს, დაღუპოს კიდევ ბევრი ადამიანის სიცოცხლე. გამოიწვიოს შეიარაღებული კონფლიქტები და ომები. საფრთხე შეუქმნას მშვიდობასა და უშიშროებას მთელ მსოფლიოში.

უდიდესი რწმენით, მხურვალე მგზნებარებით გამოდიოდა ნიუ-იორკში ნ. ს. ხრუშჩოვი და ამტკიცებდა, რომ საჭიროა კოლონიური ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხი განხილულ იქნას ასამბლეის პლენარულ სხდომებზე. საბჭოთა კავშირთან ერთად ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ სოციალისტური სახელმწიფოების, აგრეთვე იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ მოიპოვეს დამოუკიდებლობა. და კოლონიზატორები იძულებული იყვნენ უკან დაეხოთ. ასამბლეამ ერთხმად მიიღო წონა წინადადება, რომ დეკლარაცია განხილულ იქნას პლენარულ სხდომაზე.

მაგრამ კოლონიზატორებს ჯერ როდი დაჰკარგვია თმელი ძალები. ისინი ფარისევლურად განაგრძობენ მტკიცებას თავიანთი „ცივილიზატორული მისიის“ შესახებ. ისინი ამახინჯებენ ფაქტებს, ცდილ სწამებენ ჭეშმარიტებას და ცდილობენ „დამტკიცონ“, რომ კოლონიური ხალხები არ მომწიფებულან თვითმმართველობისათვის. ბრძოლა კოლონიური სისტემის წინააღმდეგ, რომელიც არცხენს ცივილიზაციას, გრძელდება. და ჩვენი პარტია მიმართავს კაცობრიობას და ამბობს:

— **ძმური სალამი ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემის სრული მოსპობისათვის!**

— **მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ, რომ დაუყოვნებლივ მიენიჭოს სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება ყველა კოლონიურ ქვეყანას!**

მსოფლიოს წინაშე მთელი სიმწვავით დგას განიარაღების ამოცანა. საბჭოთა

ПРАВДА

15 ოქტომბრის მოწინავე

კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების ხალხებს, ყველა ხალხს, რომლებიც გულწრფელად ისწრაფვიან უზრუნველყონ დედამიწაზე მტკიცე მშვიდობა, განიარაღების საკითხი მიაჩნიათ თანამედროვეობის ძირეულ პრობლემად. მის გადაჭრაზე დამოკიდებულია მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის საქმე, დამოკიდებულია, იყოს თუ არა ახალი მსოფლიო ომი. ამრიგად, საქმე ეხება მსოფლიოს ბედს, ხალხების ბედს.

მშვიდობის თესლი, რომელსაც ნიუ-იორკში თესავდნენ სოციალისტური ქვეყნების დელეგაციები, უხვ აღმონაცენს მოგვცემს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამართულმა დისკუსიამ განიარაღების პრობლემის გამო, როგორც ხაზგასმით აღინიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა კორესპონდენტთან საუბარში, ცხადყო, რომ, „თუ ხალხები აღიმაღლებენ ხმას და აიძულებენ მთავრობებს დათანხმდნენ განიარაღებაზე არა სიტყვით, არამედ საქმით, ომი არ იქნება“. აი ამიტომ ყველა კეთილი ნების ადამიანი აღფრთოვანებით შეხვდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებათა სიტყვებს:

— **ყველა ქვეყნის ხალხებო! იბრძოლეთ მშვიდობისათვის. საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის! გადაარჩინ კაცობრიობა ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები — კაცობრიობის მტრები!**

— **მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ „ცივი ომის“ ლიკვიდაციისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის! იბრძოლეთ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და აკრძალვისათვის!**

მშვიდობის მტრები არ ყრიან იარაღს. ისინი მოურიდებლად თელავენ ფეხქვეშ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, ემზადებიან ახალი ომისათვის. ისინი მიმართავენ ყოველგვარ დანაშაულებრივ საშუალებას. მათ მიერ წარმართული დაქირავებული მკვლელის ხელით დაიღუპა ამ დღეებში იაპონიის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ინეძირო ასანუმა, რომელიც ხალხთა შორის მშვიდობისათვის იბრძოდა. ეს მათ დაგეგმეს გენერალური ასამბლეის XV სესიის წინ საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში ახალი ჯაშუშური თვითმფრინავის შემოვნაგნა. ეს ისინი წარმართავდნენ „გენერალური მეთორანდუმის“ ავტორების კალამს ბონში, რომელიც თავხედურად მოითხოვს ატომგუელის იარაღის გადაცემას გუშინდელი ჰიტლერელი ავაზაკებისათვის.

დასავლეთ გერმანია ჩვენს დროში გახდა შავბნელი რეაქციის ძალების განსაკუთრებით საშიში თავმოყრის ადგილი, რომლისაც შეუძლია ახალი ომის კატასტროფა დაატეხოს თავს კაცობრიობას. უკანასკნელი დროის ფაქტები მოწმობენ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სამარი მზადება შევიდა ახალ ეტაპში, რომელსაც ახასიათებს მისწრაფება რადაც უნდა დაუჯდეს ჩაიგდოს ხელში მასობრივი მოსპობის იარაღი.

— **ყველა ქვეყნის ხალხებო!** — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში — **მტკიცედ იბრძოლეთ დასავლეთ გერმანიის ფაშისტური ელემენტების წინააღმდეგ, გერმანელ რევანშისტთა რაკეტულ-ატომური იარაღით აღჭურვის წინააღმდეგ, გერმანიასთან საზღვარ ხელშეკრულების დადებისათვის და დასავლეთ გერმანიაში საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაციისათვის!**

მიმართავს რა ინდოეთისა და ინდონეზიის, ბირმის, ცეილონის, კამბოჯისა და ლაოსის ხალხებს, ავღანელ ხალხსა და არაბული ქვეყნების ხალხებს, აფრიკის თავისუფალ სახელმწიფოთა ხალხებს და განსაკუთრებით კონგოელ ხალხს, რომელიც იბრძვის კოლონიზატორთა წინააღმდეგ, მიმართავს რა ლათინური ამერიკის ხალხებს და მათ შორის გმირ კუბელ ხალხს, ჩვენი კომუნისტური პარტია ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით უთვლის მათ, მხურვალე სალამსა და საუკეთესო სურვილებს, იმაღლებს თავის მძლავრ ხმას მათი ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის, კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციისათვის, ზნეობრივობისა და სამართლიანობის კანონების გამარჯვებისათვის იქ, სადაც მათ ჯერ კიდევ ფეხქვეშ თელავენ იმპერიალისტი მჩაგვრელები.

მტრობის, ეჭვის, სიძულვილის თესვას, რასაც ეწევიან დასავლეთის მმართველები, რომლებიც სასაცილოდ უწოდებენ თავიანთ თავს „თავისუფალი სამყაროს“ წარმომადგენლებს, საბჭოთა კავშირი უპირისპირებს ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის ლოზუნგებს. მთელი მსოფლიოს წინაშე საერთაშორისო ასპარეზზე ერომანული უპირისპირდება ორი პოლიტიკური ხაზი — სოციალიზმის ბრძნული და კაცთმოყვარე პოლიტიკა და იმპერიალიზმის ლაჩრულ-ვერაგული, დანაშაულებრივი პოლიტიკა.

უდიდესი ოპტიმიზმით გამსჭვალულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებათა ყოველი სტრიქონი. ჩვენ ვიცით, რომ ისტორიის კანონები ულმობლად მუშაობენ ჩვენს სასარგებლოდ. რანაირადაც უნდა გაჰყვიროდნენ მშვიდობისა და სოციალიზმის მოწინააღმდეგეები და ცდილობდნენ ჩაახშონ სიმართლის ხმა, ეს მათ არ ძალუძთ. გონება გაიმარჯვებს. გამარჯვება ჩვენს მხარეზე იქნება!

УЗВАНЕСТИ

გონის ახალი პროვოკაცია

ბერლინი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის სახელდო-საზღვაო ფლოტის სფელე ადმირალიოლის რაზი თავს დაესხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სათევზაო ფლოტილის გემს. როგორც ადნის საგენტო ბუნყება, 1 ოქტომბერს, როცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სათევზაო კატერი „შტრალზუნდ 170“ გადიოდა კ�hოლტენაუს რაბს, გემზე გამოცხადდა ჯოჰოლტენაუს რაბს, გემზე გამოცხადდა და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა დასავლეთ გერმანიის საესაადრო ნაღმისნის „ც-3“ მატროსმა. მან განაცხადა, რომ არა სურს კვლავ განიცდიდეს ნეგრონასა და უხეშ მოპყრობას ყოფილი ჰიტლერელი ოფიცრების მხრივ.

დაედგენენ რა პოლიტიკურ ლტოლვილს, ადმირალმა სამდინარო პოლიციის ოფიცრის თანხლებით შეიპყრნენ გემზე, მიუხედავად კაპიტნის პროტესტისა. მათ დაატყვევეს რაზი, გემზე გამოცხადდა და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა დასავლეთ გერმანიის საესაადრო ნაღმისნის „ც-3“ მატროსმა. მან განაცხადა, რომ არა სურს კვლავ განიცდიდეს ნეგრონასა და უხეშ მოპყრობას ყოფილი ჰიტლერელი ოფიცრების მხრივ.

ადნის ოფიციალურ ინფორმაციით, ადმირალ ბარბეს ბრძანებით, ადმირალ ბარბეს ბრძანებით, ადმირალ ბარბეს ბრძანებით, ადმირალ ბარბეს ბრძანებით, ადმირალ ბარბეს ბრძანებით, ადმირალ ბარბეს ბრძანებით, ადმირალ ბარბეს ბრძანებით, ადმირალ ბარბეს ბრძანებით, ადმირალ ბარბეს ბრძანებით, ადმირალ ბარბეს ბრძანებით, ადმირალ ბარბეს ბრძანებ

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის სხდომაზე

1960 წლის 13 ოქტომბერს პასუხისათვის ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების საკითხზე

ბატონო თავმჯდომარე!
პატივცემულო დელეგატებო!

მინდა ვისარგებლო უფლებით, რომელიც ყოველ დელეგატს ეძლევა და, ვუპასუხო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გამოსვლაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი აპირებს დაიცვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინტერესები. მას, როგორც ჩანს, მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ამერიკის შეერთებული შტატები — ეს თითქმის ერთი და იგივეა, რომ აქ სახელმწიფო დეპარტამენტის ფილიალია. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს ფილიალი თანდათან დამოუკიდებელი ხდება.

შეერთებული შტატების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკას არ მოუხდენია აგრესია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პირველ წლებში. მე ზოგი რამ უნდა მოვაგონო მას. ამერიკის წარმომადგენელს, ალბათ, დაავიწყდა მემუარები გენერალ გრეიგსისა, ამერიკის იმ არმიის სარდლისა, რომელიც ციმბირში გადმოსხეს. ამ გენერალმა მეტად ორიგინალურად უწოდა მემუარებს, მას, ალბათ, ესმოდა, და სწორადაც ესმოდა. რასაც აკეთებდა.

ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციის მან ასე უწოდა: „ამერიკის ავანტიურა ციმბირში“. ის იყო ციმბირში, იგი ციმბირიდან განდევნეს წითელმა არმიამ და ციმბირის პარტიზანებმა. უნდა ითქვას, რომ ამერიკელმა გენერალმა დაწერა რამდენადმე მართალი წიგნი. ისე რომ წაიკითხოთ ეს წიგნი, ბატონო შეერთებული შტატების წარმომადგენელო, ეს წიგნი შესაძლოა ოდესმე თქვენც გამოგადგეთ.

ხანდახან ძალიან სასარგებლოა ზოგი რამ წაიკითხოთ ხოლმე! **(სიცილი დარბაზში).** ამასთან გირჩევთ არა ბოლშევიკური პროპაგანდისტულ ლიტერატურას, არამედ თქვენივე ამერიკელი გენერლის მემუარებს.

ახლა აღვნიშნავ შემდეგს. უშიშროების საბჭომ ორგზის მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა ბრალდებანი შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უსაფუძვლოა. დიახ, სამწუხაროდ, ასეთი გადაწყვეტილება გამოჰქონდა უშიშროების საბჭოს. სწორედ ამიტომ დავსვით აგრესიული მოქმედების საკითხი გენერალურ ასამბლეაზე. სხვა რა უნდა გვექნა?

ისე ხომ არ გამოდის, რომ ამერიკის წარმომადგენლებს სურთ თავი ქალწულად მოგვაჩვენონ. მაგრამ ამ ქალწულს უკვე ჰყავს ბავშვი, თანაც ჰყავს არა ერთი, არამედ ორი, და ამასთანავე ახერხებს იყოლიოს ბავშვი ყოველ ორ თვეში — მაისში, ხოლო შემდეგ ივლისში. **(სიცილი დარბაზში).**

ისინი ყოველთვის ამტკიცებენ, რომ ამ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები უმანკო ქალწულია, არავითარი ბავშვები მას არ ჰყავს. მაგრამ ჩვენც და მთელმა მსოფლიომაც იცის, რომ მაისში იყო „უ-2“ და ივლისში — „რბ-47“. **(მხიარული გამოცოცხლება).**

რაღა უშიშროების საბჭოა ეს, თუ იგი არ გმობს აშკარა და თავხედურ აგრესიას? ასეთ უშიშროებას საბჭოს არავინ არა სცემს პატივს! მაპატიეთ მკვახე სიტყვა, და ეს რაღაც საფურთხებელია, და არა უშიშროების საბჭო!

უშიშროების საბჭო უნდა იდგეს მშვიდობის საგუშაგოზე, არ უნდა დაუშვას ომი! მაგრამ როგორ მოიქცა უშიშროების საბჭო, როცა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოთ მდივანმა ჰერტერმა, და თვით შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აღიარეს, და არა მარტო მათ, მთელმა ამერიკამ, მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ ამერიკის ჯაშუში თვითმფრინავი შემოგზავნილი იყო საბჭოთა კავშირის ფარგლებში. უშიშროების საბჭოს კი ისეთი გადაწყვეტილება გამოაქვს, თითქოს არც ყოფილიყოს აგრესიული ფრენა.

მართალია, ჯერ შეერთებულ შტატებში ტყუილი თქვეს თვითმფრინავის ჯაშუშური ფრენის შესახებ. მაგრამ ჩვენ ვიცოდით ვისთან გვქონდა საქმე. ამიტომ, როცა თვითმფრინავი ჩამოვაგდეთ, საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა გაეკეთებინა ბუნდოვანი განცხადება, რათა ამერიკის შეერთებულ შტატებს ვერ გამოერკვიათ, სად იყო ჩამოგდებული თვითმფრინავი, რა მოუვიდა მფრინავს, რათა არ სცოდნოდათ, რომ ჩვენ გვაქვს ნივთიერი საბუთები.

მაშინ, ვიფიქრეთ, თვენი წამოეგებოდა ჩვენს ინკესს. და ჩვენ ვარაუდები გამართლდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადეს, რომ თვითმფრინავს არ უფრენია საბჭოთა კავშირშია. თვითმფრინავი ამინდის დასაზვეერავად გაფრინდაო. მიფრინავდა თურქეთში, მეტეოროლოგიურმა სადგურმა მიიღო პილოტის ცნობა. რომ მა გაფუჭდა ჟანგბადის ხელსაწყო და რომ ამის შედეგად მფრინავმა გრძნობა დაკარგაო. შემდეგ, როგორც ამერიკელები აცხადებდნენ, შეწყდა კავშირი, ალბათ, ამბობდნენ ისინი, მფრინავი თურქეთში რომელიღაც ტბაში ჩავარდაო. ჩვენ ტბაშს ვუკრავდით ამ სიცრუეს. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა კმაყოფილება მივიღეთ, როცა ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა გარკვეული ადგილი მოგვიშვირეს, რათა ამ ადგილზე საკმაოდ გარკვეულად დაგვერტყა. **(გაცხოველება დარბაზში).**

მაშინ ჩვენ განვაცხადეთ, რომ ეს სიცრუეა. რომ ამერიკის ჯაშუში თვითმფრინავი ჩამოგდებული იყო სვერდლოვსკთან და ამ თვითმფრინავის მფრინავი. ცოცხალი და ჯანმრთელი, ჩვენთან არის. განვაცხადეთ, რომ ჩვენ გვაქვს ის, რაც ამ თვითმფრინავისაგან დარჩა, გვაქვს ხელსაწყოები — ერთი სიტყვით ყველა ნივთიერი საბუთი. რაღა თქვეს ამის შემდეგ ამერიკელებმა?

ჰერტერმა განაცხადა, დიახ, ჩვენ ვფრინავდითო. ჩვენ ვფრინავთ საბჭოთა კავშირში იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირს აქვს ბევრი საჰაერო საიდუმლოება. ჩვენ კი უშიშროების მიზნით (გესმით, უშიშროების მიზნით!) გვინდა გავიგოთ, სად არის რუსული რაკეტები, ამიტომაც გავგზავნეთ ჯაშუში თვითმფრინავიო.

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დაადასტურა ეს, დათანხმა ამას. მაგრამ ეს ხომ აღმაშფოთებელია. უპრეცედენტო ვერაგობაა. განა შეიძლება დავუშვათ ასეთი რამ?

ამასთან აგრესორმა თვითმფრინავმა გადაუფრინა ავღანეთის ტერიტორიას, დაარღვია მისი სუვერენიტეტი, გამოფრინდა თურქეთის ტერიტორიიდან, გადაფრინდა პაკისტანის ტერიტორიაზე. მფრინავი უნდა მისულიყო ნორვეგიაში. ხოლო თუ რამე მოხდებოდა, ჭქონდა დავალება დაეშვა თვითმფრინავი ფინეთში. შეერთებულ შტატებს არ უთხოვიათ ფინეთის ნებართვა, და ფინეთმა პროტესტი განაცხადა ამის წინააღმდეგ.

ბატონებო, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა საშიში შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას. პაუერსი მხოლოდ მფრინავია. და მე მკვრა, რომ იგი დიდად ნანობს: დახარბდა რა დიდ ხელფასს, მან საქმე დიდი მარცხით დაამთავრა. ყველამ იცის, რომ ის, ვინც ემსახურება ოქროს კერპს, ემსახურება ოქროს ეშმაკს, საქმის ყოველთვის მარცხით ამთავრებს!

როცა პაუერსს სასამართლოში ჰკითხეს, რომ მიფრინავდე და თვითმფრინავში ატომური ბომბი გქონდეს, დააჭერდი თუ არა ხელს ცნობისთვის? მან აღიარა: მე მითხრეს, რომ ამა და ამ ადგილას დაჭერე ხელი კნოპსო, და მე დავაჭირე. და როცა მას ხელმეორედ ჰკითხეს, თვითმფრინავს რომ მიბმული ჭქონდა ატომური ბომბი, დააჭერდი თუ არა ხელს კნოპსო? მან უპასუხა: დავაჭერდიო.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა მოხდებოდა! ეს იქნებოდა ომის დასაწყისი და არა თუ ომის დასაწყისი, არამედ თვითონ ომი!

ბატონებო, ჩვენ ყველანი მოზრდილი და პასუხისმგებელი ადამიანები ვართ. გაიგეთ, რომ ჩვენ ამ საკითხს ვაყენებთ არა იმისათვის, რომ დავამცირეთ ამერიკის შეერთებული შტატები. ჩვენ ეს არ გვინდა, არ გვინდოდა, როცა თვითმფრინავი ჩამოვაგდეთ. თქვენ გახსოვთ ჩემი განცხადება, რომელშიც ვთქვი, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ალბათ არ იცოდა ამ ფრენის შესახებ-მეთქი. ამ განცხადებით, თუმცა მე შევცოდე ჩემი სინდისის წინაშე, მაგრამ პრეზიდენტის პატივისცემით მინდოდა შეემსუბუქებინა მისი მდგომარეობა, რათა ამომეყვანა იგი მყრალი ორმოდან, რომელშიც მოხვდა. მაგრამ იგი გაბრაზდა და თქვა, ვიცოდი ეს გაფრენა რომ მოხდებოდა, მე მივეცი ამის სანქცია, ამას შეერთებული შტატების ინტერესები, ჩვენი უშიშროების ინტერესები მოითხოვენ, და ჩვენ ასეთ ფრენას განვაგრძობთო.

ჩვენ კი რა უნდა გვექნა? ჩვენ ჩამოვაგდეთ თვითმფრინავი, და ყოველთვის ჩამოვაგდებთ ასეთ თვითმფრინავებს, თუ მათ შემოგზავნიან ჩვენს ტერიტორიაზე, და დავარტყამთ იმ ბაზებს, საიდანაც გამოგზავნიან აგრესიულ თვითმფრინავებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებში. სხვა გამოსავალი არა გვაქვს! **(ტაში).**

სუსტადგანვითარებული ქვეყნები, კოლონიები, სამწუხაროდ, ამას ვერ ინახამენ, მათ ასეთი შესაძლებლობა არა აქვთ. მაგრამ ჩვენ ძალგვიძს დავიცვათ ჩვენი სამშობლო, დავიცვათ ჩვენი საზღვრების ხელშეუხებლობა და საკადრისი პასუხი გავცეთ ყოველ აგრესორს!

თქვენ რა, ომი გინდათ, ომს იწვევთ? მაგრამ ჩვენ არ გვეშინია არავითარი მუქარისა! თუ თქვენ ომს დაიწყებთ, ჩვენ ისღა დაგვრჩება, რომ საპასუხო დარტყმა მოვახდინოთ. ყოველ ქვეყანას აქვს თავდაცვის უფლება, საპასუხო დარტყმის უფლება, თუ მას თავს დაესხნენ. მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაგმოს ასეთი მოქმედება და ამით დაგმოს არა მარტო ჩვენი სახელმწიფოს სუვერენული უფლებების გათელვა, არამედ აგრეთვე საერთოდ საერთაშორისო სამართლის გათელვა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთ უფლებად, თავიანთ სახელმწიფო პოლიტიკად გამოაცხადეს ჯაშუშური ფრენა სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე. რა უნდა ქნანთ ჩვენ? შეკურიგდეთ, თუ წინააღმდეგობა გავუწიოთ ასეთ ფრენას?

თუ გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ არ შეიგნო ამ საკითხის მთელი სერიოზულობა და დაადგა იმ გზას, რომელსაც უშიშროების საბჭო ადგას, ჩვენ ვერ ვცემთ პატივს ასეთ გადაწყვეტილებებს, იძულებული ვიქნებით ჩვენს ძალას დავიყრდნოთ. ძალა კი, როგორც მოგეხსენებათ, გვაქვს. ჩვენ ვაფრთხილებთ პენტაგონს, ვაფრთხილებთ ამერიკელ აგრესორებს — ნუ გვიწყობენ პროვოკაციებს, ჩვენ მტკიცე წინააღმდეგობას გავუწევთ. **(ტაში).**

ამერიკის წარმომადგენელმა აქ თქვა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა პარიზში განაცხადა, ფრენა აღარ იქნებაო. ბატონებო. მიაქციეთ ყურადღება ამ სიტყვებს. გამოდის, თითქოს ციურ წყალობას გვიბოძებენ. იგი არ ამბობს, რომ ფრენა იყო, არც იმას ამბობს, ფრენა არ ყოფილაო, ამბობს, ფრენა აღარ იქნებაო. მაგრამ ამას რომ ამბობს. მაშასადამე, აღიარებს, რომ ფრენა მაინც ყოფილა.

რა გვინდა ჩვენ? ჩვენ გვინდა პრეზიდენტმა თქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სწორად არ მოქცეულა, დადოს პირობა, რომ ამას აღარ იზამს. თქვენ კი როგორ იქცევით, ბატონო ამერიკელებო? დღეს ამბობთ, მეტს აღარ ვიფრენთო, მაგრამ გუშინ ხომ დაფრინავდით და ეს ფრენა თქვენს უფლებად გამოაცხადეთ. უფრო მეტიც. პრეზიდენტმა თქვა კიდევ, რომ ფრენა გაეუქმე, სანამ თეთრ სახლში ვართ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოვა ახალი პრეზიდენტი და, თუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოისურვეს, კვლავ მოაწყობენ თავიანთ აგრესიულ ფრენას.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალ პრეზიდენტს შეუძლია განაცხადოს, ფრენა შეწყვიტა ეიზენჰაუერმა, მე კი მოვალე არა ვარ ჩემი წინამორბედის ვალდებულება შევასრულოო. განა შეიძლება ასეთი თვითნებობის მოთმენა?

ცნობილია აგრეთვე, რომ პრეზიდენტს სომართლე არ უთქვამს. მან პარიზში განაცხადა ფრენა შეწყდებაო, ხოლო „უ-2“ ჯაშუშური თვითმფრინავის ორი თვის შემდეგ სსრ კავშირის ფარგლებში შემოგზავნეს „რბ-47“ სამხედრო თვითმფრინავი. იგი ჩვენ ჩამოვაგდეთ. ჩემი აქ, გენერალური ასამბლეის სესიაზე გამომგზავრების წინ შევიტყეთ. რომ ამერიკელებს სურდათ ჩვენში ახალი თვითმფრინავი შემოეგზავნათ 25 ათას მეტრ სიმაღლეზე. მაშინ მე ვუთხარი ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოველ ელჩს, ჩვენ გვაქვს ცნობები ასეთი ფრენის მომზადების შესახებ-მეთქი. ელჩს გაფრთხილება მიეცა, რომ ჩვენ მზად ვიყავით დავხვედროდით ამ თვითმფრინავს. მე მას ვუთხარი: თუ გსურთ შეამოწმოთ ჩვენი საზენიტო რაკეტული ტექნიკა, გამოსცადოთ, შეგვწევს თუ არა უნარი ჩამოვაგდოთ თვითმფრინავი 25 ათასი მეტრი სიმაღლიდან, ინებეთ, ჩვენ მომზადებული ვართ ომისათვის, რომ დაგანახვოთ ჩვენი შესაძლებლობანი.

ამერიკის ხელისუფლებმა გააუქმეს ფრენა. მაგრამ პროვოკაციები ჯერ კიდევ გრძელდება.

ამას წინათ გამოცხადდა ნატოს ქვეყნების სამხედრო მანევრები საბჭოთა კავშირის შავი ზღვის ნაპირებსა და საზღვრებთან. უნდა ვთქვა, რომ როცა თავდაცვის მინისტრმა მარშალმა მალინოვსკიმ მკითხა, როგორ მოვიქცეო, მე ვუთხარი: თქვენ თავდაცვის მინისტრი ხართ. როგორია თქვენი წინადადება-მეთქი.

მან მიპასუხა: ჩემი წინადადებაა საბრძოლოდ გავამზადოთ ჩვენი შეიარაღებული ძალები და უფრო ნარეს ყოვლისა რაკეტული ტექნიკა, ყველაფერი საბრძოლო მდგომარეობაში გვქონდეს და რაკეტებს საცემლები გავუკეთოთ.

მე თავდაცვის მინისტრს ვუპასუხე, თქვენი ღონისძიებანი გონივრულია, იმიტომ რომ ჩვენ არ ვიცით — სამხედრო მანევრებია ეს, თუ ომისათვის მზადება-მეთქი.

ასე რომ მე ვარ აქ, ამერიკაში, ჩვენი თავდაცვა კი საბრძოლოდ არის გამზადებული.

რაღას აკეთებენ ამერიკელები? როცა ნიუ-იორკში მოვდიოდი „ბალტიკის“ ხომალდით, ჩვენს ხომალდს თავს დაფრენდნენ ამერიკის თვითმფრინავები. ეს ცოტაა, ნიუ-იორკამდე ორი დღის გზის მანძილზე მე დავინახე, რომ ხომალდს, რომლითაც ჩვენ მოვდიოდით, წყალქვეშა ნავი მოჰყვებოდა. ვფიქრობ, დიდი ჭკუა არ არის საჭირო, რათა მივხვდეთ, თუ რა ნავი იყო ეს. შეიძლება შემეკითხონ: გამოიცანით კი, ვისი ნავი იყოო. მე კარგად ვხედავ

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

(დასასრული)

ეს ოფიცერი, რომელმაც უშუალოდ წამოიყვანა ტყვედ შამილი, შეფესთან გაგზავნა, რათა მას პირადად მოეხსენებინა იმპერატორისათვის. თქვენ ალბათ იცით, რომ ზოგიერთ სამხედრო პირს აქვს ასეთი ნაკლი, უყვარს თავისი დამსახურების შელამაზება. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. ოფიცერმა გაზვიადებით აუწერა მეფეს შამილის ტყვედ წამოყვანის დროს გამოჩენილი თავისი გმირობა. იგი ამბობდა, თუ რა მარჯვედ მოქმედებდა, როგორ მიიტანა თვითონ იერიში. მაგრამ გენერალმა იცოდა ამ ოფიცრის სისუსტე და თან გააყოლა სხვა ოფიცერი, რომელსაც შეუთანხმდა, თუ პირველი ოფიცერი ყოყოჩობას დაიწყებდა, მეორეს მუნდირის კალთა უნდა ჩამოეწია მისთვის. და როცა პირველი ოფიცერი მეტისმეტად გაება ტყუილებში, მეორემ კალთას ჩამოსწია. პირველმა ტყუილებს უმატა, მეორემ კვლავ ჩამოსწია. მაშინ პირველი აღშფოთდა და უთხრა: რას მეწევი, იქ მე ვიყავი, შენ ხომ არ ყოფილხარო.

ამერიკის წარმომადგენელს დღეს ამგვარი რამ მოუვიდა: სურს იცოტოს და ამბობს, ეს სიცრუე არ არისო. მაგრამ მეც შემიძლია ჩამოვწიო მას კალთა და ვუთხრა: ბატონო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელო, ჩვენ ჩამოვაგდეთ თქვენი „რბ-47“ თვითმფრინავი, და იგი ჩამოაგდო ჩვენმა ავიაგამანადგურებელმა საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ წყლებში.

ახლა მათ სურთ გამპრთონ საერთაშორისო არბიტრაჟი, სხვანაირად რომ ვთქვათ, საარბიტრაჟო სასამართლო. ეს საკითხი ორჯერ განიხილა უშიშროების საბჭომ. და უშიშროების საბჭომ, ხატოვნად რომ ვთქვათ, ქალი, რომელმაც ორი ბავშვი შობა, ქალწულად ცნო. როგორღა წავალთ ჩვენ ასეთ სასამართლოში?

ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა მინდობილი აქვს არა საერთაშორისო სასამართლოს, არამედ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს. თუ ჩვენს ტერიტორიაზე მტერი შემოიჭრა, იგი უნდა დავამარცხოთ და უკუვაგდოთ. აი ეს არის სასამართლოს, საბჭოთა კავშირის ხალხთა სასამართლოს მაგალითი (**ტაში**). აგრესორთა სხვაგვარი გასამართლება არ შეიძლება იყოს.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა თქვა, ხრუშჩოვი არ არის მართალი, როცა აცხადებს, რომ „უ-2“ თვითმფრინავის ინციდენტი გახდა ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა თათბირის ჩაშლის მიზეზი, რომ ჯერ კიდევ თათბირამდე გაზეთები „პრავდა“ და „იზვესტია“ მკვახედ გამოდიოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგო. ამასთან მან თქვა, რომ ეს გაზეთებია, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს არ გამოხატავენო. იცით, რა გითხრათ, ამას ჰქვია, ჩემი შენ გითხარო, გული მოგიკალიო. ჩვენში პრესა ხალხის წარმომადგენელია, თქვენი პრესა კი ერთი მუჭა კაპიტალისტებისა. შეერთებულ შტატებში ვისაც ფული აქვს, გაზეთის მფლობელიც ის არის. თუ რედაქტორმა ის არ დაწერა, რაც მონოპოლისტს სურს, მონოპოლისტი კინწისკვრით გააგდებს მას სამსახურიდან. ეს კარგად იცის ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა.

ახლა მინდა არსებითად გავცე პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გაცხადებაზე. დიახ; ჩვენი გაზეთები მკვახედ გამოდიოდნენ, მაგრამ ისინი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ კი არ გამოდიოდნენ, არამედ ბ-ნ დიულონის, ბ-ნ ჰერტერისა და ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის განცხადებათა წინააღმდეგ. არ დავასახელებ მის გვარს, რათა არ ჩავერიო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნების საარჩევნო კამპანიაში. (**სიცილი დარბაზში**).

ამერიკის შეერთებული შტატების ამ სახელმწიფო მოღვაწეებმა წარმოთქვეს მაშინ თავხედური სიტყვები. ჩვენ საკადრისი პასუხი გავეცით მათ. ეს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში „უ-2“ თვითმფრინავის ფრენამდე მოხდა.

ასამბლეის დელეგატებისათვის რომ კიდევ უფრო ნათელი გახდეს, თუ რა გამოსვლებს ეხება საქმე, მოვიყვან შეფასებას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მისცა ამ გამოსვლებს. პრეს-კონფერენციაზე კორესპონდენტის იმ კითხვის პასუხად, ცნობილია თუ არა თქვენთვის დიულონის, ჰერტერისა და ვიცე-პრეზიდენტის ეს გამოსვლებიო, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განაცხადა: დიახ, ცნობილია და სავსებით ვეთანხმები ამ გამოსვლების შინაარსსო. მაშასადამე, ეს მხოლოდ დიულონის, ჰერტერის ან ვიცე-პრეზიდენტის თვალსაზრისი კი არ ყოფილა, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, მთავრობის პოლიტიკა იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, პენტაგონმა და სახელმწიფო დეპარტამენტმა ასე მოამზადეს უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლა. შემდეგ მათ იფიქრეს, შეიძლება ამან ხრუშჩოვზე არ იმოქმედოსო. მაშინ გადაწყვიტეს: მოდით უფრო ძლიერი საშუალება გამოვიყენოთო. მათ ჯერ კიდევ 9 აპრილს გამოგზავნეს ჯაშუშური თვითმფრინავი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ იგი დავინახეთ, ჩვენს ტერიტორიას გადაუფრინა, მაგრამ ჩვენმა მეზენიტეებმა არ ჩამოაგდეს, რისთვისაც დამნაშავენი სასტიკად დავსაჯეთ. სამხედროები მუდამ ფხიზლად უნდა იყვნენ საგუშაგოზე. ჩვენ მათ ვუთხარით, თუ შეცდომას გაიმეორებთ, კიდევ უფრო მკაცრად დაგსჯითო. ამერიკელებმა კი ეს ასე გაიგეს: თუ 9 აპრილს თვითმფრინავი არ ჩამოაგდეს, ბოდით პროვოკაცია გავიმეოროთო. მათ მეორე თვითმფრინავი გამოგზავნეს 1 მაისს. მაგრამ ამჯერად ჩვენმა მეზენიტეებმა შეძლეს გამოესყიდათ თავიანთი ცოდვა და ჩამოაგდეს თვითმფრინავი. მათ მადლობა გამოვუცხადეთ ამისათვის და საყვედური მოვხსენით. (**გამოცცხლება დარბაზში**).

აი როგორი იყო საქმის ვითარება, თუ ქრონოლოგიას, ფაქტებს მივმართავთ.

პენტაგონში შეუძლიათ გამაკრიტიკონ, მაგრამ ვფიქრობ, რომ პრეზიდენტი სამხედრო პირებს დაემორჩილა. თვითონ მას არ სურდა გაემწვავებინა ურთიერთობა ჩვენთან. თუმცა მას დიდი ხნის პრეზიდენტობა არ დარჩენია, მეუარი არ მითქვამს მასთან შეხვედრაზე. მაგრამ ვიცი, რომ ამ შეხვედრას დიდი შედეგები არ მოჰყვებოდა. მე მაინც მინდა ჯეროვნად დავაფასო იგი, როგორც ადამიანი...

(აქ ნ. ს. ხრუშჩოვს სიტყვა შეაწყვეტინა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, რომელმაც სცადა საბჭოთა დელეგაციის მეთაურისათვის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვითომდა შეურაცხყოფა დაებრალებინა.

სხდომის თავმჯდომარემ თქვა, ამ განცხადებას არ ვეთანხმებიო, და სთხოვა ნ. ს. ხრუშჩოვს განეგრძო სიტყვა).

მე უკვე ვიფიქრე, თუ თქვეს, რომ მე რაღაც შეურაცხმყოფელი ვთქვი პრეზიდენტის მიმართ, მიმიკაზე ხომ არ გადავიდე-მეთქი. შეიძლება ადამიანმა წარმოთქვას სიტყვა უსიტყვოდ, გვიჩვენოს, როგორ ფრინავს თვითმფრინავი, ხოლო შემდეგ გამოსცეს ისეთი ხმა, რომელიც გაგვაგებინებდა, როგორ ჩამოაგდეს თვითმფრინავი.

მინდა ასეთი ეპიზოდი ვუამბო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს. ორი მგზავრი მიდიოდა მატარებლით. ეს მოხდა რუსეთში 1905 წლის რევოლუციის შემდეგ. მგზავრები ერთმანეთში საუბრობდნენ. მესამე კლასის ვაგონი იყო, პირდაპირ იჯდა ხალხი და ყურს უგდებდა იმ ორი მგზავრის ლაპარაკს. ერთმა უთხრა მეორეს:

— იცი, მეფე სულელია!

ჟანდარმმა, რომელიც ვაგონის მეორე ნახევარში იჯდა, გაიგონა ეს, მოვიდა და იკითხა:

— ვინ თქვა, მეფე სულელიაო? მგზავრმა უპასუხა:

— მე ვთქვი, ბატონო ჟანდარმო.

ჟანდარმი აღშფოთდა:

— როგორ გაბედე გეთქვა, რომ ჩვენი მეფე სულელია!

— მაპატიეთ, — უპასუხა მგზავრმა, — მე ვთქვი, რომ გერმანელთა მეფეა სულელი.

ჟანდარმმა დაიყვირა:

— მე ვიცნობ ჩემს მეფეს — თუ სულელია, სწორედ ჩვენი მეფე იქნება! (**სიცილი დარბაზში, ტაში**).

ამას აღარაფერს ვუმატებ. (**ტაში**).

ბატონო დელეგატებო! დილის სხდომაზე რომ გამოვედი, მე ვთქვი, რომ საჭიროა ეს საქმე დაბოლოვდეს და კეთილად დაბოლოვდეს-მეთქი. მართალია, ცუდი საქმის კეთილად დაბოლოება ძნელია. მაგრამ რას ვიზამთ, ქალწულმა შობა, და ბავშვის დაბადების ფაქტი რეგისტრაციაში გატარებული. რაზე უნდა ვქნათ. იბადება კანონიერი კითხვა — ვინ არის ბავშვის მამა, მიიღებს თუ არა მონაწილეობას მის აღზრდაში?

ჩვენ გვსურს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აღიარონ, რომ მათ აგრესიული აქტები ჩაიდინეს. გამონახონ შესაბამისი ფორმულა, აღიარონ, რომ ჩაიდინეს ისეთი აქტი, რომელიც შეუწყნარებელია მშვიდობიან დროს სახელმწიფოთა ნორმალური ურთიერთობის პირობებში და დადონ პირობა ამას აღარ ვიზამთო.

რაიმე სიტყვის წარმოთქმა აღარ იქნებოდა საჭირო, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი რომ გამოსულიყო და ასეთი განცხადება გაეკეთებინა. ჩვენ ამას დავეთანხმებოდით და საკითხი ამოიწურებოდა.

მაგრამ შეერთებული შტატები დაჟინებით აცხადებენ, რომ მათ ასეთი ფრენის უფლება აქვთ. მაშინ ჩვენ მტკიცედ ვაცხადებთ, რომ ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ ასეთი ფრენა დაგმონ, როგორც აგრესია. ეს უბრალო დავა კი არ არის, რომელიც სახელმწიფოთა შორის მოხდება ხოლმე. აქ საქმე ეხება საერთაშორისო სამართლის დარღვევას, თუ ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავები კვლავაც შემოიჭრებიან ჩვენი ქვეყნის ფარგლებში და ჩვენ იძულებული გავხდებით ჩამოვაგდოთ ისინი, მაშინ ერთ ტრაგიკულ დღეს ხალხებს გამოაღვიძებს თერმოატომგულის ომი. ხედავთ, საით მივყავართ ასეთ პოლიტიკას? ჩვენ ამიტომ გამოვდივართ ასე მკვეთრად ამ თავხედური აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ბატონო დელეგატებო, ჩვენთვის კი არ მოვითხოვ ასე მტკიცედ დაკმაყოფილებას, არამედ ხალხებისათვის, რომლებიც აღაშფოთა ასეთმა ვერაგულმა პოლიტიკამ და მოითხოვენ ჩაეწერგოთ მათ იმის რწმენა, რომ აღმოიფხვრება სამხედრო პროვოკაციები. ჭხოლოდ ასეთ პირობებში იქნება შესაძლებელი მომავალში განვახორციელოთ ლონისძიებანი, რათა აღმოვფხვრათ ომი ხალხთა ცხოვრებაში.

როგორ შეიძლება განიარაღების შესახებ მოლაპარაკება ვაწარმოოთ იმ დროს, როცა ერთ-ერთი დიდი ქვეყანა პროვოკაციულ ფრენას აწყობს მეორე დიდი ქვეყნის ტერიტორიაზე. რა ფასი აქვს ასეთ მოლაპარაკებას?

არ მინდა დავიკვეხნო ჩვენი იარაღი, მაგრამ არც თავის მოსაწყლება მინდა. ჩვენ არა მარტო შეგვიძლია პრეზიდენტი განვაცხადოთ აგრესიის წინააღმდეგ, როგორც ზოგიერთ სხვა სახელმწიფოს, რომელსაც დაცვის საშუალებანი არ გააჩნია. ჩვენ ყველაზე მძლავრი იარაღი გვაქვს, რათა დავიცვათ თავი აგრესიისაგან. მაშ აღიარეთ, რომ ჩვენ უფლება გვაქვს გადაჭრით დავგმოთ აგრესორი, თუ თქვენ აღიარებთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უფლება აქვთ პროვოკაციული ფრენა მოაწყონ. თუ ამას არ იზამთ, ჩვენ თვითონ განვახორციელებთ ამ უფლებას, იმიტომ რომ ყოველ სახელმწიფოს აქვს უფლება დაიცვას თავისი ტერიტორია, თავისი სუვერენიტეტი. (**ტაში**).

პატივცემულო თავმჯდომარეო, პატივცემულო დ ე ლ ე გ ა ტ ებ ო! დღეს სამშობლოში მივდივარ. გულწრფელად მიხარია, თუმცა მე შავკანიანი არა ვარ, მაგრამ მათთან ერთად, ვისაც გაყრილი აქვს კოლონიური მონობის ბორკილი, მიხარია, რომ ჩვენ ერთსულოვნად მივიღეთ გადაწყვეტილება განვახილოთ კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის საკითხი გენერალური ასამბლეის პლენუმზე. მიხარია თქვენთან ერთად, და ჩვენს სიხარულს იზიარებს მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი.

დღეს მინდა გავაკეთო განცხადება განიარაღების საკითხზე და შემოვიტანო შესაბამისი წინადადებანი. აი ჩვენი წინადადებანი, აი ჩვენი პოზიცია:

„განიარაღების შესახებ და იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა ამ საკითხზე გენერალური ასამბლეის 1959 წლის 20 ნოემბრის რეზოლუციის შესრულებასთან დაკავშირებით.

გენერალურ ასამბლეას

შეგნებული აქვს, რომ იმ პირობებში, როცა თანამედროვე იარაღი უსაზღვროა ნგრევის ძალითა და მოქმედების სიშორით, განუწყვეტელი გამალებული შეიარაღება შეიცავს უდიდეს საფრთხეს ყველა ქვეყნის ხალხებისათვის;

დარწმუნებულია, რომ რაკეტულ-ატომური ომის საფრთხის წინაშე საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემა თანამედროვეობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას;

ადასტურებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIV სესიის 1959 წლის 20 ნოემბრის **რეზოლუციას 1378** (XIV) საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ;

სამწუხაროდ მიაჩნია, რომ აღნიშნული რეზოლუცია არ შესრულებულა და დღემდე ჯერ კიდევ არ არის მიღებული სათანადო ღონისძიებანი მის განსახორციელებლად;

კვლავ მოუწოდებს მთავრობებს მთელი ძალღონე მოახმარონ საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის კონსტრუქციული გადაჭრის მიღწევას და წინადადებას აყენებს რაც შეიძლება მალე შემუშავდეს და დაიდოს ხელშეკრულება ასეთი განიარაღების შესახებ ქვემომოყვანილი პრინციპების საფუძველზე:

საყოველთაო და სრული განიარაღება უნდა ითვალისწინებდეს მთელი შეიარაღებული ძალების დაშლას, მთელი შეიარაღების მოსპობას, სამხედრო წარმოების შეწყვეტას, უცხოელთა ყველა ბაზის ლიკვიდაციას სხვის ტერიტორიებზე, ატომური, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და რაკეტული იარაღის აკრძალვას, ასეთი იარაღის წარმოების შეწყვეტას, მისი მარაგისა და ამ იარაღის მიზანთან მიტანის ყველა საშუალების მოსპობას, იმ ორგანოთა და დაწესებულებათა გაუქმებას, რომლებიც განკუთვნილია სამხედრო საქმის ორგანიზაციისათვის სახელმწიფოებში, სამხედრო საქმის სწავლების აკრძალვას, სამხედრო მიზნებით სახსრების ხარჯვის შეწყვეტას;

საყოველთაო და სრული განიარაღება ხორციელდება შეთანხმებული თანამიმდევრულობით, ეტაპებად და დაწესებულ ვადაში;

განიარაღების ღონისძიებანი, რომლებიც შეეხება ატომური იარაღისა და ჩვეულებრივი შეიარაღების დარგს, დაბალანსებულ უნდა იქნას იმგვარად, რომ არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არ შეეძლოს სამხედრო უპირატესობის მოპოვება და ყველასათვის თანაბრად უზრუნველყოფილ იქნას უშიშროება;

საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებანი თავიდან ბოლომდე ხორციელდება საერთაშორისო კონტროლით, რომლის მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს თვითეულ ეტაპზე განხორციელებულ განიარაღების ღონისძიებათა მოცულობასა და ხასიათს. განიარაღებისადმი კონტროლისა და ინსპექციის განსახორციელებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში იქმნება საერთაშორისო კონტროლის ორგანიზაცია ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით;

საყოველთაო და სრული განიარაღების პირობებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად უნდა განხორციელდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საჭიროა ღონისძიებანი, მათ შორის სახელმწიფოებმა უნდა იკისრონ ვალდებულება, რომ საჭირო შემთხვევებში უშიშროების საბჭოს განკარგულებაში გადასცენ შენაერთები პოლიციის (მილიციის) კონტინგენტის იმ რიცხვიდან, რომლებიც სახელმწიფოთა განკარგულებაში რჩება და რომლებიც განკუთვნილია მინაგანი წესრიგისა და მოქალაქეთა პირადი უშიშროების დასაცავად;

რათა შეიქმნას მტკიცე რწმენა, რომ პოლიციის (მილიციის) საერთაშორისო შეიარაღებული ძალები სწორად იქნება გამოყენებული და რათა გამორიცხოს ის შესაძლებლობა, რომ ისინი გამოიყენონ ამა თუ იმ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ცალკე ჯგუფის ინტერესებისათვის,

საჭიროდ ცნობს შეიცვალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსა და უშიშროების საბჭოს სტრუქტურები ისე, რომ ამ ორგანოებში თანასწორი უფლებით იქნას წარმოდგენილი სახელმწიფოთა სამივე ჯგუფი: სოციალისტური ქვეყნები, დასავლეთის სახელმწიფოთა ბლოკებში შემავალი ქვეყნები, და ნეიტრალისტური ქვეყნები.

გამოაქვს განიარაღების კომიტეტის განსახილველად საბჭოთა მთავრობის წინადადება „საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითად დებულებათა“ შესახებ და სხვა წინადადებანი ამ საკითხზე, რათა შემუშავდეს საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულება, მათ შორის საერთაშორისო კონტროლისა და ინსპექციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების ზუსტად შესრულებას“.

ჩვენ მზად ვართ არავითარი სიტყვა აღარ წარმოვთქვათ. ჩვენი წინადადებანი, ჩვენი პოზიცია ნათელია, მოდით განვიხილოთ ისინი პუნქტობრივ. მოდით შევიმუშაოთ გადაწყვეტილება, რომელიც დაკმაყოფილებს ყველა, ვინც დაინტერესებულია განიარაღების საკითხით, მაგრამ ერთი პირობით — განიარაღებისადმი კონტროლს კი ნუ მოვითხოვთ, არამედ მოდით განვიარაღდეთ. განუიარაღებლად შეიარაღებისადმი კონტროლის სისტემის შემუშავებაში ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთ.

(ნ. ს. ხრუშჩოვს კვლავ შეაწყვეტინა სიტყვა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, რომელიც ამბობს, რომ ორატორი თითქოს არ ლაპარაკობს საკითხის არსზე.

სხდომის თავმჯდომარე არ დეთანხმა მას და განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციის მეთაურს შეუძლია განაგრძოს სიტყვა).

ბატონებო! ან ჩვენი კონკრეტული წინადადებანი: მაგრამ თუ ამ წინადადებათა აზრს, რომლებიც ჩვენ ჩამოვაყალიბეთ, არ მიიღებს პირველი კომიტეტი, ან თუ დავინახავთ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები საქმეს აჭიანურებენ, ჩვენ არ ვიმუშავებთ პირველ კომიტეტში განიარაღების საკითხის განხილვისას. ასეთ პირობებში ჩვენ არ ვიმუშავებთ არც ათი სახელმწიფოს კომიტეტში, არც თხუთმეტი სახელმწიფოს კომიტეტში.

ხოლო თუ დასავლეთის სახელმწიფოები გამოიჩენენ კეთილ ნებას, ჩვენ მზად ვართ შევსწავლოთ და გამოვიყენოთ ყველა შემოტანილი წინადადება, რათა შევიმუშაოთ გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფდა საყოველთაო და სრულ განიარაღებას უაღრესად მტკიცე საერთაშორისო კონტროლით.

(ნ. ს. ხრუშჩოვს კვლავ შეაწყვეტინეს სიტყვა, ამჯერად ინგლისის წარმომადგენელმა, რომელიც ამბობს, რომ საბჭოთა დელეგაციის მეთაური ლაპარაკობს საკითხზე, რომელიც განსახილველ თემას არ შეეხება.

თავმჯდომარემ განუმარტა ინგლისის წარმომადგენელს: ვერ ვხედავ საფუძველს შევაწყვეტინო სიტყვა ნ. ს. ხრუშჩოვს. რადგან საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა გამაფრთხილა, რომ სურდა გაეკეთებინა განცხადება განიარაღების შესახებ ნიუ-იორკიდან გამგზავრების წინ. მით უმეტეს, დასძინა თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გამოსვლა, როგორც ჩანს, დასასრულს უახლოვდება.

ამის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა განაგრძო თავისი გამოსვლა).

თქვენ, ბატონო თავმჯდომარეო, სწორად განსაზღვრეთ, ამ ბატონს რომ არ შევეჩერებინე, დავამთავრებდი ჩემს გამოსვლას. (**სიცილი დარბაზში**).

მინდა თქვენი ყურადღება, ბატონებო, მივაქციო იმას, თუ როგორ სვამენ საკითხს ეს ადამიანთა სისხლითა და სიცოცხლით მოვაჭრენი. მათ უმთავრესად აწუხებთ საქმის ფორმალური მხარე, ხოლო ის, რომ კაცობრიობას თავს დასტრიალებს კატასტროფული თერმოატომური ომის საფრთხე, მათ არ აღელვებს. ოხ, რანი არიან ისინი, სირცხვილი არა აქვთ! კაცობრიობა დაიმახსოვრებს თქვენს სახელებს, ბატონო იმპერიალისტებო, თუმცაღა, მათთან რას გახდები. ომი თუ ატყდა, ისინი უთუოდ შეწყვეტენ თავიანთ არსებობას, რადგან ინგლისი, რომელსაც დასავლეთში ხშირად ჩაუძირავ ავიამზიდს უწოდებენ, შეწყვეტს თავის არსებობას ომის პირველსავე დღეს. უნდა წარმოვიდგინოთ მხოლოდ, რა არის ატომური ომი, და ამიტომ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ომი არ იყოს.

მაგრამ ამ ბატონს, რომელიც აქ დიდ ბრიტანეთს წარმოადგენს, როგორც ჩანს, არ ძალუძს გაიგოს ის პრობლემა. იმიდი უნდა ვიქონიოთ. რომ ეხვრეზა თქვენ თუ არა, სხვას ასწავლის ამას. თქვენ შეგიცვლიან. და მოვლენ სხვა ადამიანები, რომლებიც შეიგნებენ, რომ საჭიროა მტკიცე მშვიდობისა და განიარაღების უზრუნველყოფა, რადგან მშვიდობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ განიარაღების პირობებში. არ შეიძლება იყოს მტკიცე მშვიდობა, თუ შენარჩუნებულ იქნება იარაღი, თუ იქნება მხოლოდ კონტროლი შეიარაღებისადმი, რადგან ასეთ პირობებში ყოველ ქვეყანას, თუ კი მოისურვებს, შეუძლია გამოიყენოს თავისი შეიარაღება, ყოველგვარი კონტროლის მიუხედავად. ვფიქრობ, ეს ყველასათვის ნათელია.

მინდა თქვენი ყურადღება ცოტათი შევაჩერო იმაზე, რომ ერთხელ კიდევ შევეხო გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის საკითხს. ბატონებო, თუ ვილაპარაკებთ პერსონალურად ბ-ნ ჰამარშელდზე, მე მის წინააღმდეგ როდი ვიბრძვი. მე მას შევხვედრივარ და ჩვენ მეტად თავაზიანად გვისაუბრია. (**სიცილი დარბაზში. ტაში**). მიმაჩნია, რომ ბ-ნი ჰამარშელდი ვალშია ჩემს წინაშე, რადგან მან ექსპლოატაცია გამიწია, როცა ჩვენი სტუმარი იყო შავ ზღვაზე. მე იგი ვასეირნე ნიჩბიანი ნავით, მან კი ეს არ მიზღო, სამაგიერო არ გადამიხადა. (**სიცილი დარბაზში. ტაში**).

საქმე პერსონას როდი ეხება. საქმე ის არის, რომ მე კომუნისტი ვარ, ის კი — მსხვილი კაპიტალის წარმომადგენელია. რა კაპიტალი აქვს ჯიბეში, — ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან, როგორც ცნობილია, კაპიტალისტთან ხშირად უფრო ადვილია შეთანხმება, ვიდრე მის მსახურთან. ბ-ნი ჰამარშელდი წარმოადგენს სახელმწიფოთა გარკვეული ჯგუფის ინტერესებს და ამას წარმატებით ახორციელებს, რის მაგალითიც არის მისი მოქმედება კონგოში. იგი მოქმედებდა იქ იმათი ინტერესებისათვის, ვინც ეს დავალება მისცა. ისინი დაუმადლებენ მას ისე. როგორც შეუძლიათ დაუმადლონ იმათ, ვინც კოლონიზატორებისათვის მუშაობს.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ მივაღწევთ შეთანხმებას განიარაღების შესახებ და შევქმნით საერთაშორისო შეიარაღებულ ძალებს. განა შეგვიძლია დავუშვათ, რომ ამ შეიარაღებულ ძალებს კონტროლს უწევდეს ერთი კაცი, რომელიც იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ჯგუფის ინტერესებს წარმოადგენს? არა, ეს გამორიცხულია. გამიგეთ სწორად, მე არ გთხოვთ პრივილეგიებს ჩვენი სოციალისტური ქვეყნებისათვის. მაგრამ არ მინდა, რომ პრივილეგიები ჰქონდეს იმპერიალისტური ბანაკის, მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის ბანაკის სახელმწიფოთა ჯგუფს, რადგან ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს აპარატს თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენებენ. მათ გამოიყენეს ეს აპარატი კონგოს წინააღმდეგ. ისინი შეეცდნენ საბჭოთა წინადადება კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ, ერთსულოვნად მიაჩნიათ კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის უდიდეს დამარცხებად, იმის შედეგად, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით გაბედულად, მტკიცედ იბრძოდა წარსულის ამ სამარცხვინო მემკვიდრეობის აღმოფხვრისათვის, მიაჩნიათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოდგენილი მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ერთიანი მოქმედების შედეგად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიაში, წერს „რუდე პრავო“ იმპერიალისტს პრავედ მიაყენეს გამანადგურებელი დამარცხება თვითონ ორგანიზაციაში. ძნელია გადაჭარბებით შეავფასოთ ამ ბრძოლის მნიშვნელობა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა, რადიო, ტელევიზია დაწვრილებით აუწერენ საბჭოთა დელეგაციისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციების იმ ბრძოლას, რომ კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხი განხილულ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე. გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ აღნიშნავს, რომ ამ საკითხის განხილვის დროს შექმნილი ვითარების პირობებში კოლონიურმა სახელმწიფოებმა ვერ გაბედეს საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ გამოსულიყვნენ. „ნოიეს დოიჩლანდი“ ბეჭდავს ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადების შინაარსს და ხაზს უსვამს მის ნათქვამს, რომ კოლონიური რეჟიმის დაღუპვა მხოლოდ დროის საკითხია.

„კოლონიალიზმის აგენტები სრულ იზოლაციაში აღმოჩნდნენ, — აცხადებს „ნოიე �იტი“. გაზეთი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ჩაგრული ხალხების დამცველად გამოვიდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა წინადადება კოლონიალიზმის ლიკვიდაციის შესახებ განიხილონ ასამბლეის პლენარულ სხდომაზე, **მონღოლეთის** სახალხო რესპუბლიკაში პროგრესული ძალების დიდ გამარჯვებად მიაჩნიათ. ულან ბატორში ახალი საცხოვრებელი რაიონის მშენებლებმა „ბარილგაჩინ სონიმში“ („სამშენებლო გაზეთი“) გაგზავნეს წერილი, რომელშიც დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ ანტიკოლონიური ქვეყნების პოზიციათა გაძლიერების გამო. სხვა დროს, ნათქვამია წერილში, ვინ წარმოიდგინდა იმას, რაც ახლა ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები ვეღარ ბედავენ უხეშ ტუქსვას. ახლა იმპერიალისტების თვალთმაქცობა საბოლოოდ მხილებულია. მშრომელთა ინტერესებს იცავს საბჭოთა მთავრობის მეთაური, ჩვენი გულწრფელი მეგობარი და ამხანაგი ხრუშჩოვი.

ფინეთის გაზეთები აქვეყნებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე კოლონიალიზმის ნაშთების ლიკვიდაციის შესახებ საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის შინაარსს ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა გამარჯვებას მიაღწია, რომ ეგენერალურმა ასამბლეამ გადაწყვიტა ბლენარულ სხდომებზე განიხილონ ეს საკითხი. ნიკიტა ხრუშჩოვმა, — წერს „ჰუფუდსტადსბლადეტი“, — ხუთშაბათს გამარჯვება მოიპოვა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში, რაც გენერალურმა ასამბლეამ ტაშით მოიწონა რეზოლუციის წინადადება იმის შესახებ, რომ დეკლარაცია კოლონიური ხალხების დამოუკიდებლობის შესახებ განიხილოს ასამბლეის პლენარულ სხდომაზე. „ყველა ხალხს შესწევს უნარი თვითონ გადაგოს თავისი ქვეყანა“, — წერს სათაურში „კანსან უუტისეტი“.

ავსტრიის ოფიციოზი „ვინერ ციტუნგი“ სათაურში აღნიშნავს: „ხრუშჩოვმა გამარჯვებას მიაღწია. კოლონიურ საკითხს გენერალურ ასამბლეაზე განიხილავენ“.

„სსრ კავშირის დიდ წარმატებას“ უწოდებს **იტალიის** გაზეთი „უნიტა“ კოლონიური საკითხის შესახებ საბჭოთა წინადადების კენჭისყრის შედეგებს. გაზეთი აღნიშნავს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები მხოლოდ მას შემდეგ გახდნენ იძულებული შეეცვალათ პოზიცია სესიაზე კოლონიური პრობლემების განხილვის შესახებ, რაც დარწმუნდნენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აღმოჩნდებოდნენ იზოლაციაში, რადგან აფრიკის ყველა ახალმა სახელმწიფომ „მხარი დაუჭირა მხურვალე მოწონებას, რომლითაც მათ ხრუშჩოვმა მიმართა“.

იტალიის მეორე გაზეთი — „ავანტი“ წერს, რომ საქმე ეხება „ხრუშჩოვის უდიდეს გამარჯვებას“, გაზეთი კოლონიურ საკითხზე კენჭისყრის შედეგებს იმას უკ

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

მუშაობელთა პარტიული საუბარი

დიდ, ნათელ შენობაში შესვლისას ყურადღებას იპყრობს კედლებზე გამოკიდებული ბევრი მაკეტი და სტენდი, რომლებიც ასახავენ ქართველ მიღროენერგომშენებელთა მიერ უკანასკნელ წლებში განეულ მუშაობას.

ეი სტენდზეა ლაჯანურჰესის თაღოვანი კაშხალი, რომელსაც ფართოდ გაუშლია მხრები ცამდე აზიდული კლდეების ფონზე. ამ რამდენიმე წლის წინათ ეს სტენდი მარტო ქაღალდზე არსებობდა, მაგრამ ადამიანებმა მას ხორცი შეასხეს, სინამდვილად აქციეს... წინ კვლავ ბევრია გასაკეთებელი.

მოპოვებულ წარმატებებზე, ახალი ამოცანების შესახებ იყო ლაპარაკი 10 ოქტომბერს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. პარტბიუროს მდივანმა ი. დოდელიამ თავის მოხსენებაში და სიტყვებით გამოსულმა კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს მიღროენერგომშენის ტრესტმა მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა დაჯარბებით შეასრულა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება მარტო 8 თვეში შემცირებულია 9.458 ათასი მანეთით, მიღებულია სამ მილიონამდე მანეთის ზეგეგმითი ეკონომია.

მიმდინარე წელს დაიწყო ლაჯანურჰესის სამივე აგრეგატის ექსპლოატაცია. მდინარე ლაჯანურზე პირველად საბჭოთა კავშირში განხორციელდა თაღოვანი კაშხალის მშენებლობა. წარმატებით მიმდინარეობს სონონის წყალსაცავის, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურისა და ხრამის მეორე მიღროელექტროსადგურის მშენებლობა.

თუმცა პარტბიუროს მდივნის ი. დოდელიას მოხსენება ნაკლებად კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო, მაგრამ იგი შეავსეს კამათში გამოსულმა ამხანაგებმა — ტრესტის მმართველმა ამხანაგმა ი. მღებრიშვილმა, კომუნისტებმა კ. ოდიკაძემ, ო. ბურნაზიანმა, ივ. ტეპლიაკოვმა და სხვებმა.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ ტრესტის სისტემაში შემავალი ზოგიერთი ობიექტი გეგმებს ვერ ასრულებს. მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია ტრესტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორის (უფროსი გ. გარსევანოვი) მუშაობაში. აქ ირღვევა საფინანსო-სამეტაღ დისციპლინა. კანტორის ბაზებში მოუწესრიგებელია აღრიცხვა, რის გამო მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე საგრძნობლად დიდი თანხები ირიცხება. არის გამოძალვის ფაქტებიც. მაგალითად: კანტორის უფროსმა ამხ. გარსევანოვმა თავის მოადგილესთან ს. ბაბაჯანოვთან დადო ხელშეკრულება ისეთ სამუშაოთა შესრულებაზე, რაც ამ უკანასკნელის პირდაპირ სამსახურებრივ ძოვალეობას შეადგენდა. ამ გზით ბაბაჯანოვმა არასწორად მიიღო დამატებითი თანხა.

კომუნისტმა ტ. გოლოვანენკომ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ტრესტის სისტემაში შემავალი თბილისის დამხმარე საწარმოო კომბინატიდან (დირექტორი გ. ალავიძე) დამზადებული კონსტრუქციების გამოზიდვას ძლიერ აფერხებს კომბინატში არსებული ბიუროკრატიული სასაშვებო რეჟიმი.

პარტბიუროს მდივნის საანგარიშო მოხსენებაში სათანადო ადგილი ჰქონდა დათმობილი პარტიულ-პოლიტიკურ და იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს, გასული სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში პირველადა ორგანიზაციამ კარგად დაამთავრა და წელსაც კომუნისტება ორგანიზებულად შეუდგნენ სწავლას.

ტექნიკური პროგრესის საკითხზე გაამახვილა ყურადღება კრებაზე სიტყვით გამოსულმა საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორკომიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. სარაძემ. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციის ბიურო საანგარიშო პერიოდში სათანადოდ არ ეხმაურებოდა პარტიული კონტროლის კომისიების მიერ შემოწმებულ მასალებს, რაც აფერხებდა შემჩნეულ ნაკლოვანებათა დროულად გამოსწორების საქმეს.

ლ. გუგავა.

პარტიული ქრონიკა

★

საქართველოს კპ ფალენჯიხის რაიკომის პლენუმი

შედგა საქართველოს კპ წალენჯიხის რაიკომის პლენუმი, რომელიც განიხილა საორგანიზაციო საკითხი.

პლენუმმა ამხ. გ. ძ. შონია მოხსნა საქართველოს კპ წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობიდან და გამოიყვანა ბიუროს შემადგენლობიდან.

პლენუმმა საქართველოს კპ წალენჯიხის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ი. ლ. ჩიქავა და შეიყვანა იგი ბიუროს შემადგენლობაში.

პლენუმმა პარტიის რაიკომის ბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანა ამხ. ი. ე. ზაარანდია და ბიუროს შემადგენლობაში შეიყვანა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. დ. კკარაცხელია.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. დ. დუმბაძემ.

დაბადების 120 წლისთავისათვის

იაკობ გოგებაშვილი

ლერსი და სითბო, მშობლიური სიყვარული, მოსავს იაკობის სახელს ქართველი ხალხის შეგნებაში. მისი „დედა ენის“ თავმომწონე ნაზი იის ყლორტებზე ასხმული ორი ქართული სიტყვა აი, ია კბილოდა მის უკვდავსყოფად ჩვენი ქვეყნის მღელვარე ისტორიაში, მისი წიგნები აწვდიდნენ სინათლესა და სიხარულს ყოველ ქართულ ოჯახს, მათგან გამოჰქონდა ცხოვრების ახი ჩვენს ახალგაზრდობას.

იაკობ გოგებაშვილი — ქართველი ხალხის დიდი განმანათლებელი, პუბლიცისტი და მწერალი ქართლის შუაგული სოფლის, აწ განქმული ვარიანის ვიწრო ორღობიდან დაადგა თავის სახელოვან გზას, თბილისის სასულიერო სემინარიამ, კიევის აკადემიამ და უფრო მეტად კი ცოდნის შეძენის დაუცხრომელმა სურვილმა და შრომისმოყვარეობამ მოამზადეს იგი ცხოვრებისათვის და გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ილიასთან ერთად და მისი მეთაურობით ჩაება ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამ მოძრაობის სამი დიდი უბანი: სახალხო განათლება, მეცნიერულ-პედაგოგიური აზრი და საბავშვო მწერლობა ებარა მას და, უნდა ითქვას, მრძნელად, გმირულად და თავდადებულად ხელმძღვანელობდა იგი სამივე ამ საქმეს მთელი ცხოვრების მანძილზე.

ხალხის სასიცოცხლო ინტერესებით იყო გამსჭვალული გოგებაშვილის სიტყვა და საქმე, და პირველი, რითაც მკვიდრი საქირკველი შეუქმნა მან ქართულ პედაგოგიკასა და საბავშვო მწერლობას, — იყო ხალხურობის პრინციპი.

ეს პრინციპი სულხან-საბა ორბელიანმა და დავით გურამიშვილმა შემოიტანეს ქართულ პედაგოგიკასა და მწერლობაში. გოგებაშვილმა განმამტკიცა იგი, როგორც აღზრდა-განათლებისა და საბავშვო ლიტერატურის ამოსავალი იდეა. მისი აზრით, ხალხურობა ქმნის ეროვნულ მიმართულებას და ერის როგორც კოლექტიური პიროვნების ნაციონალურ ხასიათს. ეროვნება ეყრდნობა სამ ბურჯს: ტერიტორია, ეკონომიური მდგომარეობა და დედაენა. სამივე ეს ბურჯი აუცილებელია ერის მთლიანობისა და მისი ერთობის შენახვისათვის, მაგრამ დედაენა, არის მისი მთავარი ბურჯი და აოსებითი ნიშანი, რომელშიც ისახება ხალხის ეროვნული სული, მისი გონებისა, გულისა და ფანტაზიის სიმდიდრე.

ხალხურობის პრინციპის მიხედვით განსაზღვრავდა იაკობ გოგებაშვილი აღზრდის დანიშნულებას. აღზრდა-განათლების მიზანად მას მიაჩნდა ადამიანის მომზადება საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, მისი სულიერი და ფიზიკური ძალების ჰარმონიული განვითარება და თავისი ხალხის ინტერესების თავდადებული სამსახური. ამის მიხედვით ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების წინაშე ის აყენებდა ყოველმხრივი განვითარებისა და ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდ ამოცანებს.

მომავალ თაობათა აღზრდა-განათლების საკითხებს იაკობ გოგებაშვილი განიხილავდა პოლიტიკური თვალსაზრისით. „ის, რაც ნამდვილად პედაგოგიურია, არის ნამდვილად პოლიტიკური“, წერდა იგი და სავსებით მართებულად აღნიშნავდა, რომ ქართველი ახალგაზრდობის ყოველმხრივი განვითარება და მომზადება „ახალი ცხოვრებისათვის“ ანუ „ახალი საქართველოსათვის“ შეიძლებოდა მისი დროის „უკეთესმართი და ავადმყოფური რეჟიმის... ძირიანად შეცვლის“ მეოხებით. ახალი საქართველო, გოგებაშვილის რწმენით, უნდა აშენებულიყო „სოციალისტი საზოგადოებრივი წყობილების“ საფუძველზე, ხოლო ასეთი წყობილებისათვის ბრძოლა შეეძლოთ მხოლოდ „ახალი ტიპის“ ქართველებს, რომლებიც შეიარაღებული უნდა ყოფილიყვნენ მეცნიერული ცოდნით, მაღალი მორალური პრინციპებით და პრაქტიკული შრომის უნარით. გმობდა რა იგი თავისი დროის სწავლა-განათლების სისტემას, მოითხოვდა, რომ სწავლა-განათლებამ ხალხი „მოამზადოს ერთი მხრით ბუნებასთან ბრძოლისათვის, მეორე მხრივ, სოციალურ სანატრელ ცხოვრებისათვის“. ცხადია, ასეთ სოციალურ-სანატრელ ცხოვრებად გოგებაშვილს მიაჩნდა ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლება.

იაკობ გოგებაშვილი ამეოდთ შეჰყურებდა ქართველი ხალხის მომავალს და იცოდა, რომ ეს მომავალი მის ახალგაზრდობაზე იყო დამოკიდებული. ის სავსებით იხიარებდა აღზრდის შინაარსის იმ ზოგად განსაზღვრებას, რომელიც მის დროს უკვე მიღებული იყო პედაგოგიკის მეცნიერებაში და გულისხმობდა ახალგაზრდობის გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ განვითარებას, მის მომზადებას მომავალი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. ამ მიზნით, მისი აზრით, საჭირო იყო თეორიული სწავლების დაკავშირება მოსწავლეთა პრაქტიკულ შრომასთან და ხალხის ყოფაცხოვრებასთან, ეს გზა მას მიაჩნდა როგორც გონებრივი, ისე საერთოდ პიროვნების ყოველმხრივი განვითარების უმთავრეს პირობად.

ზნეობრივი განვითარების ამოცანად იაკობ გოგებაშვილი თვლდა პიროვნების „ნამდვილი ადამიანური ღირსებების“ შემეშავებას მის მიერ საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნების საფუძველზე, ასეთ ღირსებათა შორის, მისი აზრით, მთავარია ჰუმანიზმი, შრომისმოყვარეობა, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი, ზრდილობა, სიმართლე, მეგობრობა, პატიოსნება და სხვა კეთილშობილური თვისებები.

ჰუმანიზმი გოგებაშვილს ესმის როგორც „მიღრეკილება ფართო ადამიანისადმი“. ეს თვისება ახალგაზრდობის შეგნებაში იზრდება კეთილი ადამიანის ანუ „მოყვასის მხურვალე სიყვარულის“ გრძნობის ნიადაგზე და მოითხოვს სკოლისა და ოჯახისაგან შთაუნერგონ ბავშვებს ადამიანის ღირსებათა პატივისცემა, მასზე მზრუნველობა და გულისხმიერი დამოკიდებულება ყოველი მისი სამართლიანი მოთხოვნილებისადმი. ჰუმანიზმის პრინციპით არის გამსჭვალული გოგებაშვილის არა მარტო მეცნიერული სტატიები ბავშვთა აღზრდა-განათლების საკითხებზე, არამედ მთელი რიგი მისი მოთხრობები, რომელთაც ის ათავსებდა „დედა ენასა“ და „ბუნების კარში“ ან აქვეყნებდა ცალკე გამოცემათა სახით.

შრომისმოყვარეობა, გოგებაშვილის აზრით, არის ყოველგვარი სიკეთისა და შეძლების წყარო. შრომაზეა დამოკიდებული ადამიანის მომავალი. მიზნის მიღწევისა და შემოქმედებისათვის მთავარია შრომის სიყვარული და ხელი უნარი. ამასთან გოგებაშვილი მოითხოვს მოსწავლეები ეჩვეოდნენ არა მარტო ადვილ და სასიამოვნო შრომას, არამედ „იმისთანა შრომასაც, რომელიც უსიამოვნოა, მაგრამ მათთვის და საზოგადოებისათვის სასარგებლო“.

პატრიოტიზმი გოგებაშვილს მიაჩნია ადამიანის ისეთ ამამაღლებელ თვისებად, რომელიც აღაფრთოვანებს მას დიადი საქმეებისათვის. ნამდვილად პატრიოტად ის თვლის „მას, ვისაც სიცოცხლის საგნად გაუხდია სამშობლო ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავდადებულად... ებრძვის ყოველს დაბრკოლებას, რომელიც ამ სამშობლო ქვეყნის წარმატების გზაზე გადაღობებია, ვისაც მთლად დაკავებულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარია მამულის ზოგადსაკეთილ“.

იაკობ წარსულს არ მისტირიდა. ის იყო ახალი საქართველოს პატრიოტი, და იცქირებოდა არა უკან, არამედ წინ. იაკობ გოგებაშვილი, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობასა და „აღორძინებას თავისებური ეროვნული გზით“, ინტერნაციონალიზმის ცნებაში ი. გოგებაშვილი გულისხმობდა ხალხთა შორის „ძმური თანხმობას“ და ორგანულად უკავშირებდა მას პატრიოტიზმის პრინციპს.

თავისი ქვეყნის ნამდვილ და მართალ პატრიოტს, გოგებაშვილის აზრით, არ შეიძლება არ უყვარდეს კაცობრიობა და დიდი პატივისცემით არ ეპყრობოდეს სხვა ხალხებს, პატრიოტული და ინტერნაციონალური გრძნობის საფუძვლად ის სამართლიანად აღიარებს ჰუმანიზმის პრინციპს და სავსებით დარწმუნებულად ამტკიცებს, რომ „ვინც გამსჭვალულია ადამიანისადმი სიყვარულით, ის ამ კეთილშობილურ გრძნობას ანხორციელებს პირველ ყოვლისა თავის სამშობლოსა და თვისტომთა მიმართ, რომელიც უფრო ახლოა მასთან და, მაშასადამე, არის პეშმარიტი პატრიოტი. მაგრამ ამავე დროს ის სიყვარულით და სამართლიანობით ეპყრობა სხვა ერებსაც და, ამგვარად, ემსახურება საყოველთაო. ძმობის მაღალი ცნების განხორციელებას“.

ასეთი ინტერნაციონალური მეგობრობის დამყარებას და განმტკიცებას ი. გოგებაშვილი მოითხოვდა რუს ხალხთან, რომლის ბედთან, როგორც წერს იგი, „ისტორიამ და ხალხის სულიერმა შეაერთა ბედი საქართველოსი“, სომხებთან, რომელთა ბედი ისეთივე იყო ისტორიულად, როგორც ბედი საქართველოსი, და სხვა ამ ზობელ თუ შორეულ სახელმწიფოებთან და ერებთან.

აკობ გოგებაშვილის გასაკეთებელი დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე მდგომარეობს იმაში, რომ ის საოცარი ენერგიით, პატრიოტული გატაცებით და პოლიტიკური სიმახვილით არკვევდა დედაენის როლს ხალხის ცხოვრებაში, მეცნიერულად ასაბუთებდა დედაენაზე ბავშვთა აღზრდა აუცილებლობას და თავდადებულ იბრძოდა ქართული ენის კანონიერ უფლებათათვის საქართველოში.

დედაენა, გოგებაშვილის აზრით, არის „ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუტარია ადამიანს სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურსა და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ“ და ამიტომ „ყოველს ადამიანს დაბადებიდანვე ჩვენება მიდრეკილება და ნიჭი დედაენის ადვილად და ღრმად შესწავლისა, ბავშვის ყოველ აზრს, გრძნობას, წარმოდგენას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედაენა ხატავს სრნადვილით და სისრულით“. ამ მოსაზრებიდან გაძოდის იაკობ გოგებაშვილი და მრავალი დაკვირვება, ფაქტი და მეცნიერული წყარო აქვს გამოყენებული იმის დასამტკიცებლად, რომ თანდაყოლილი მიდრეკილება მშობლიური ენისადმი უფრო ადვილებს და აღრმავებს აზროვნებას ამ ენაზე და უფრო მტკიცედ და ხანგრძლივად ინახავს ადამიანის მეხსიერებაში დედაენაზე შეძენილ ცოდნას. იგი ხშირად მიმართავს პედაგოგიკის კლასიკოსებს — კომენსკის, პესტალოცის, განსაკუთრებით კი უშინსკის და მათი მაღალი ავტორიტეტის გამოყენებით მოითხოვს დედაენის დაუბრკოლებლივ გავრცელებას როგორც სკოლასა და ოჯახში, ისე ყველა საზოგადოებრივ და სამმართველო (ანუ სახელმწიფო) დაწესებულებაში. ის მოითხოვდა დედაენაზე სწავლებას როგორც ბავშვის „ბოლრების გახსნისა“ და მისი აზროვნების განვითარების, ისე ხალხურობის პრინციპის თვალსაზრისით და განუხრელად იცავდა დედაენის ინტერესებს ქართველი ხალხის მტერთა და ორგულთაგან.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკურ მოძღვრებაზე ლაპარაკის დროს პირველ ყოვლისა მხედველობაში გვაქვს მისი ბრწყინვალე სახელმძღვანელოები: „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და „რუსსკოე სლოვო“. ეს წიგნები წარმოადგენდნენ ყოველი ქართული ოჯახის ნამდვილ სამკაულს. ისინი ხახარძლივად და ღირსეულად ემსახურებოდნენ ჩვენი ახალგაზრდობის მეცნიერული განათლებისა და მაღალი მოქალაქეობრივი იერის ჩამოყალიბების ამოცანებს. მათ შეუნახეს ქართველ ხალხს მთავარი ეროვნული ბურჯი — დედაენა და მტკიცედ იფარავდნენ მის ღირსებებს და უფლებებს მეფის კოლონიური რეჟიმის მკაცრ პირობებში.

„დედა ენა“ პირველად 1876 წელს გამოიცა, ნაკლებად მისი ავტორის „ანბანისა“, რომელიც გამოდიოდა 1865 წლიდან. ის „ეწყობოდა წინასწარი საკარგოებით საუბარსა და ხატვაში, აცნობდა განსხვავებას ბგერასა და ასოს შორის, სიტყვასა და მის გამომხატველ თვალსაჩინო ნაგებს შორის, კითხვა და წერა წარმოეადა ერთდროულად, ერთმანეთის პარალელურად, ასო-ბგერები გალაგებული იყო არა ანბანის რიგის, არამედ მათი ფონეტიკური და გრაფიკული სიძნელეების მიხედვით, საკითხავი მასალა შერჩეული იყო როგორც საგანმანათლებლო, ისე საალმზრდელო პრინციპების თვალსაზრისით და ეხებოდა ბავშვთათვის კარგად ცნობილ გარემოს. იაკობ გოგებაშვილი ამავე დროს ცდილობდა „დედა ენის“ საკითხავი მასალა ყოფილიყო ყოველმხრივ მიმზიდველი და საინტერესო როგორც შინაარსით, ისე იდეურად და მხატვრულად.

„ერთი სიტყვით ვცდილობდით შეგვეერთებინა სასიამოვნო სასარგებლოსთანა“ — წერდა იგი პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში და ქართლაც ასრულებდა იგი ამ ამოცანას ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებათა და ცხოვრებასთან სწავლების კავშირის აუცილებლობის გათვალისწინებით. გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოსვლით სამედამოდ შეწყდა უაზრო მარცვლების გაბეპირება და „ამოსაღების“ წესით სიტყვების შედგენა. ანბანის სწავლების დროს გაანრიგებული გახდა კითხვაზე გადასვლა, გაადვილდა წერა-კითხვა და ქართული ენაზე ბავშვების გავრცელება ჩქარი ტემპით წარიმართა. „დედა ენა“ იყო მე-19 საუკუნის ქართული პედაგოგიკისა და ფილოლოგიის ძვირფასი მონაპოვარი, ერის საუნჯე, ოქროს წიგნი, ის იყო ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეუღვალი სამაგრე, მისი გამარჯვების უძლიერესი იარაღი.

„ბუნების კარი“, ქართული ენის სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლების 3-4 კლასებისათვის, დაიბეჭდა 1868 წელს. შემდგენელი მას მიზნად უსახავდა აღეძრა ახალგაზრდობაში ბუნების, სიყვარული, მისი შესწავლისა და გამოყენების სურვილი და შეექმნა რწმენა, რომ „ბუნება მრავალგვარი სიცოცხლით დღეს და დაუსრულებელი ცოდნის წყაროა“. მაგრამ სახელმძღვანელოს ამოცანა მარტო ამით არ ამოიწურებოდა. ბუნებასთან ერთად ის ასწავლიდა მკითხველებს საქართველოს გეოგრაფიას, ისტორიას, ლიტერატურას და, რაც მთავარია, ქართულ ენას. ამის გამო „ბუნების კარს“ ჰქონდა ენციკლოპედიური ხასიათი. მასში მდიდარ საბუნებისმეტყველო მასალასთან, რომელიც უმთავრესად უშინსკის „დეტსკი მირ“-იდან იყო გადმოღებული, წარმოდგენილია ნარკვევები, ლექსები და მოთხრობები მხატვრული ლიტერატურიდან. სახელმძღვანელოში თავსდებოდა აგრეთვე საეკლესიო ნიმუშები ქართული ხალხური შემოქმედებიდან, უხვია მასალა აგრეთვე მორალური აღზრდის საკითხებზე. ეს წიგნი ხელს უწყობდა ქართველ ახალგაზრდობაში მატერიალისტური მსოფლმხედველობისა და ერთგულ-განმათავისუფლებელი იდეების შემუშავებას, სოციალურ-ეკონომიურ-ბუნებრივ ფენომენთა ურთიერთობისადმი შეგნებული ინტერესის გაღვიძებას, ბუნებრივ-ეკონომიურ ცოდნასა და ადამიანურ ინტერესებს შორის ბალანსის დამყარებას. „ბუნების კარი“ ბავშვებისა და ახალგაზრდობის ეროვნულ-ეროვნული ენციკლოპედიად ითვლებოდა ჩვენში ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით და რამდენადაც ეს წიგნი ვრცელდებოდა არა მარტო მოსწავლე ახალგაზრდობაში, როგორც სახელმძღვანელო, არამედ ფართო საზოგადოებრივ-ეროვნული ფენის, ის წარმოადგენდა ახალ ქართულ სალიტერატურო ენის მასობრივად დანერგვის ძლიერ იარაღსაც.

„**რუსსკოე სლოვო**“ — ეს ... ენა ... ნელო ქართული სკოლებისათვის, პირველად გამოიცა 1887 წელს. მის მიზანს შეადგენდა „ხელი შეეწყო და ხელჩქარებინა ქართველ მოზარდ თაობათა მიერ სახელმწიფო ენის შეგნებულად და მტკიცედ შეთვისება“. რუსულ ენას ი. გოგებაშვილი თვლიდა არა მარტო სახელმწიფო ენად, რის გამოც იგი სავალდებულოდ მიიჩნევდა ყველა კავკასიელისათვის, არამედ აგრეთვე მდიდარი კულტურის ენად, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა გაცნობა დიდი მხატვრული ლიტერატურისა და შეთვისება ეროვნული განათლებისა. ამასთან რუსულ ენას, მისი აზრით, მოელოდა გამხდარიყო ერთ-ერთ საერთაშორისო ენად, რასაც კიდევ უფრო უნდა გაეძლიერებინა ქართველი ახალგაზრდობის ინტერესი მისი შესწავლისადმი და პატივისცემა მისი შემქმნელი რუსი ხალხისადმი.

„რუსსკოე სლოვო“, ისევე როგორც „დედა ენა“ შედგენილი იყო ანალიზურ-სინთეზური (სინკრეტული) მეთოდით და ყველა დიდაქტიკური პრინციპისა და წესის მიხედვით. მასში გამოყენებული იყო ქართული ენა რუსული სიტყვების თარგმნის მიზნით, რომელთა ახსნაც ძნელი იყო თვალსაჩინოებისა და სხვა საშუალებებით. პირველი ნაწილი იწყებოდა ლექსიკური გაკვეთილებით, მას მისდევდა რუსული ანბანი, შემდეგ საკითხები მასალა საგნობრივი და სურათოვანი თვალსაჩინოების საფუძველზე. კითხვის პარალელურად წარმოებდა წიგნის სწავლებაც. აქ მოთავსებული მოთხრობები, ლექსები, სასაუბროები, ზღაპრები და სხვა მასალა მეტ წილ შემთხვევებში თარგმნილია „დედაენიდან“ და, მაშასადამე, ნაცნობია ბავშვებისათვის. ეს ძალიან უადვილებდა მათ რუსული სიტყვების აზრის გაგებას და მათ თარგმნას ქართულად და პირუკუ.



გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვო“ შეიცავდა რუსული ენის გრამატიკის სწავლების მშვენივრად მოფიქრებულ მეთოდიკას, კარგად იყენებდა ქართული ენის გრამატიკულ ფორმებს და მის მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ფონეტიკურ თავისებურებებს რუსული ენის გრამატიკის ანალოგიური ფორმებისა და განსხვავებულ თავისებურებათა ახსნა-განმარტებას. დროს. „რუსსკოე სლოვო“ ქართველ ბავშვებს ასწავლიდა რუსულ ენას შეგნებულად, მტკიცედ, ადვილად და მოკლე დროში. მას იწონებდა ყველა განათლებული მასწავლებელი და ამართლებდა სკოლის გამოცდილება. მას იწონებდა ქართული, რუსული და სომხური პრესა, თვლიდა რუსული ენის საუკეთესო სახელმძღვანელოდ და მოითხოვდა მის გამოყენებას არარუსი ეროვნების ბავშვებისათვის საერთოდ.

იაკობ გოგებაშვილი დიდი სიყვარულით და გატაცებით წერდა სკოლისა და მასწავლებლის დანიშნულებაზეც. მან კარგად იცოდა, რომ სკოლასა და მასწავლებელზეა დამოკიდებული „ხალხში კეთილდღეობის მომფენი“ და მისი სიმედო ახალგაზრდობის „ჭკუისა და ზნეობის ამამაღლებელი ცოდნის“ გავრცელება. „სკოლამ ყმაწვილი ცხოვრებისათვის უნდა მოამზადოს“, აცხადებს გოგებაშვილი და სწორედ ამაში ხედავს იგი მის ამოცანას. სკოლას შეეძლოს იდგეს თავისი მოწოდების სიმაღლეზე იმ შემთხვევაში, თუ ის სავსებით შეეფერება თავის დანიშნულებას სტრუქტურით, სასწავლო გეგმებით, მეთოდებით და მთელი მუშაობით, იაკობ გოგებაშვილი სკოლასა და მასწავლებლის წინაშე აყენებდა არა მარტო მეცნიერული ცოდნისა და მაღალი ზნეობრივი პრინციპების გავრცელების ამოცანას, არამედ მას აკისრებდა პოლიტიკურ ამოცანასაც. ის წერდა, რომ სკოლამ „უნდა მოამზადოს მოზარდი იმ იარაღის სახმარებლად, რომელიც ბუნებისა და კაცთა უსამართლობის წინააღმდეგ საჭიროა“. ის უნდა გახდეს „უკეთესი ღონისძიება ჩვენის ვინაობის აღდგენისათვის“. ამისათვის საჭიროა სახალხო სკოლას ჰქონდეს ძალა ხალხთან და ემსახურებოდეს მის საარსებო ინტერესებს.

აკობ გოგებაშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-პედაგოგიკური მოღვაწეობის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან მოქმედებად წარმოადგენს მისი ბრძოლა ერთიანი ქართული ლიტერატურული ენის დანერგვისა და გავრცელებისათვის საქართველოს ყველა კუთხეში.

1868 წელს „ბუნების კარის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში ის წერდა, რომ ძველის მოყვარეებს არ მოუწონებიათ ამ წიგნის ახალი ენა. თუმცა ისინი ცხოვრებაში არხეინად ხმარობენ ახალ ენას, მაგრამ თუ იგი წიგნში ნახეს, თავზე ცეცხლს გადაიყრიან და გაიძახიან „წაბდა, მოითხარა და დაიღუპა ჩვენი ენა... უწინდელი კეთილშობილი ენის მაგივრად ახლა ტატიური უბრალო ენა შემოიღეს, რომელიც მუშას და ფილოსოფოსს ერთნაირად ესმის“.

მაგრამ იაკობი მათ ანგარიშს არ უწევდა. ახალი სალიტერატურო ენისათვის ბრძოლაში ის გვერდში ედგა ილიასა და აკაკის და თავისი სახელმძღვანელოებით, საგრამატიკო და კრიტიკული წერილებით ენერგიულად უწყობდა ხელს ახალი ქართული ენის გამარჯვებას მწერლობასა და ყოფაცხოვრებაში და მის დაახლოებას ხალხის ცოცხალ მეტყველებასთან. ის მოითხოვდა ერთ ლიტერატურულ ენას ყველა ქართველი ტომისათვის, ვინაიდან, მისი საგანგებო მართებული აზრით, მხოლოდ ერთიან ქართულ ენას შეუძლია ემსახუროს საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ერთიანობის ამოცანას. ის სასტიკად სდევნიდა კუთხურ სიტყვებს პრესაში და, საერთოდ, ბეჭდურ ლიტერატურაში, ვინაიდან ასეთ სიტყვებს, როგორც ის წერდა, „შეუძლია ხელი შეუწყოს პროვინციულ სეპარატიზმს“.

იაკობ გოგებაშვილის ქართული ენის სახელმძღვანელოებს, როგორც აღვნიშნეთ, მრავალ პედაგოგიურ ღირსებასთან ერთად ის ღირსებაც ჰქონდა, რომ ისინი ახალი სალიტერატურო ენით იყვნენ დაწერილი და ახალი ქართული სიტყვა შეჰქონდათ საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობაში. სწორედ ამ ღირსებათა გამო ილია ჭავჭავაძე სამაგალითო სახელმძღვანელოებად თვლიდა მათ და უწინასწარმეტყველებდა „ხმარებაში დადებასა ყოფნასა“. დღეს ყველამ იცის, რომ ცხოვრებამ სავსებით გაამართლა ილიას სიტყვები.

სამი დიდი ქართველი პედაგოგისა და განმანათლებლის იაკობ გოგებაშვილის სახელთან დაკავშირებულია ქართული საბავშვო მწერლობის, როგორც სპეციალური ლიტერატურული დარგის, აღმოცენება. მან განსაზღვრა საბავშვო ლიტერატურის მიზანი, მისი თემატიკა და მეთოდი. საყმაწვილო ლიტერატურას ის აკისრებდა მოზარდ თაობათა ესთეტიკური განვითარების, ხელოვნების ყოველი ნაწარმოების გაგებისა და დაფასების უნარსა და მაღალ კეთილშობილურ თვისებათა შემუშავების ამოცანებს. კარგი საბავშვო წიგნი არის ლიტერატურული ენის საუკეთესო მასწავლებელი, აზროვნების განვითარების ერთ-ერთი მთავარი საშუალება. „მარკვედ დაწერილი საბავშვო ნაწარმოებნი“, გოგებაშვილის აზრით, ჰუმანიზმის იდეებს უქმნიან ახალგაზრდობას, კაცთმოყვარეობის გრძნობით ეფერებენ მას გულს, ამაღლებენ მას გონებრივად და ზნეობრივად.

ასეთ ამოცანებს აყენებდა იაკობ გოგებაშვილი საბავშვო ლიტერატურის წინაშე, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი და, პირველ ყოვლისა, თვითონვე ახორციელებდა მათ როგორც საბავშვო მწერალი.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მოძღვრება და მხატვრული შემოქმედება ღღესაც ინარჩუნებს თავის მძლავრი მეცნიერული და ესთეტიკური ზეგავლენის ძალას. მისი შესანიშნავი ნაშრომები აღზრდა-განათლების თეორიისა და დიდაქტიკის საკითხებზე შეადგენენ პედაგოგიკური აზროვნების ოქროს ფონდს. მისი ლამაზი მოთხრობები, დაწყებული „ნუცას სკოლის“ პატარა დედოფლების ამბიდან — ინგილო ქალისა და „ივანანას“ ქეთოს ცხოვრებამდე ახლაც ღრმად სწვდებიან ბავშვის სულს და წარმტაცი ფერებით გადმოგვცემენ მისი სიდიდმლო და ინტიმური ყოფის თანამგონებელ ეპიზოდებს.

მისი მაღალი იდეები ცოცხლობენ და იმარჯვებენ,

გიორგი თავზიშვილი.

ზეიმი ტყიბულში

ტყიბული. (საკ. კორ.). უკანასკნელ ხანს ბევრი ახალი ნაგებობა, გართობიაა და დასვენების კერა შეემატა მეშახტეთა ქალაქს. მიდამო დაამშვენა დასვენების პარკმა, სასპორტო მოედანმა და საცურაომა აუზმა. ცენტრალურ მოედანზე გაშენდა შესანიშნავი ბაღი. მაგრამ ტყიბულელებმა ყველაზე კარგი საჩუქრები ამ დღეებში მიიღეს. ცენტრალურ მოედანზე საზეიმოდ გაიხსნა კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია



ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). საერთო პოლიტიკური დისკუსია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში დასასრულს უახლოვდება. დარჩა უკანასკნელი ხუთი ორატორი. — სამხრეთ აფრიკის კავშირის, სალვადორის, კოტა-რიკის, კვიპროსისა და ინდოეთის წარმომადგენლები.

დღევანდელი დილის პლენარული სხდომა გაიხსნა სამხრეთ აფრიკის კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ლოუს გამოსვლით. მან თავისი სიტყვა წარმოთქვა ნახევრად ცარიელ დარბაზში. ბევრი დელეგაცია წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კაცით, ზოგიერთი დელეგაცია კი სრულიად არ ესწრება სხდომას. დაცარიელდა ეროვნულობათა დარბაზიც. პრეს-ცენტრის საღამოში და მის ახლო-მახლო დერეფნებში თითქმის სულ არ ჩანან კორესპონდენტები, გაორთულია ტელევიზორები. აღებულია მაგიდები და საწერი მანქანები, არავინ არ მირბის ტელეფონის ჯიხურებთან და ტელეგრაფში, რათა გადასცეს ახალი ამბები. როგორც ღღეს ერთმა ადგილობრივმა ჟურნალისტმა განაცხადა, ყველა ახალი ამბავი თან წაიღო საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელმა ურცხვად ცილი დასწამა აფრიკის ქვეყნებს იმისათვის, რომ მათ მოითხოვეს ფაშისტური რეჟიმის დაგმობა სამხრეთ აფრიკაში.

სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელმა დაამახინჯა ფაქტები და შეეცადა ისე წარმოეყენებინა თავისი მთავრობის საშინაო პოლიტიკა, ვითომ ეს პოლიტიკა უაღრესად ჰუმანური პოლიტიკა იყოს.

სალვადორის წარმომადგენელი რაფაელ ურკია ჩოდა იმას, რომ ასამბლეაში ძკვახე განცხადებები გააკეთეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის შესახებ, კონგოში პამარშელდის მოქმედების შესახებ და სხვა საერთაშორისო საკითხებზე. ურკიამ აღნიშნა, რომ მშვიდობის ბედი ახლა დიდი სახელმწიფოების — უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშია, — და განაცხადა, რომ „რაც შეიძლება მალე უნდა განახლდეს ორი დიდი სახელმწიფოს მოლაპარაკება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით“.

კოსტა-რიკის დელეგატმა გონსალო ორტის მარტინმა ილაპარაკა იმ სიძნელეებზე, რომლებსაც აწყდება ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკა. იგი განსაკუთრებით უჩიოდა იმას, რომ იმ სამრეწველო საქონლის ფასები, რაც ამ ქვეყნებს შემოაქვთ, იზრდება, ხოლო სოფლის მეურნეობის ნედლეულის ფასები, რომელიც მათ გააქვთ, ეცემა.

შემდეგ პასუხისათვის გამოვიდნენ ლიბანის, კოლუმბიისა და ლიბერიის წარმომადგენლები.

გენერალური ასამბლეის შემდეგი პლენარული სხდომა გაიმართება 17 ოქტომბერს დილით.

მდგომარეობა კონგოში

ბელგრადი. 14 ოქტომბერი. (საკდესი). ტანიუგის საგაზეთო ცნობით, კონგოს საზოგადოებრიობის „უფროდაბალი ცენტრშია პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბას განცხადება კონგოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ლუმუმბამ „გენერალური კომისრების საბჭოს“ შექმნა დაახასიათა როგორც „აბსოლუტურად უკანონო აქტი“. მოახდინეს რა ხელისუფლების უზურპაცია, აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, კომისრებს კონგო მიჰყავთ ანარქიისაკენ, რაც არ არის არც ერთ აფრიკულ ქვეყანაში, რომელმაც დამოუკიდებლობა მიიღო.

ჩვენ დამოუკიდებლობას ვუსწრაფოდით არა იმისათვის, რომ გაგვეჩაღებინა ტომებს შორის ომი, განაგრძო ლუმუმბამ, არამედ იმისათვის, რომ ვისარგებლოთ თავისუფლების სიკეთით და ერთობლივ ღონისძიებათა საფუძველზე განვავითაროთ ჩვენი ქვეყანა.

პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ხელისუფლების საკითხზე შეიძლება მიიღოს მხოლოდ პარლამენტმა და რომ იგი მთავრობის სათავეში დარჩება მანამდე, სანამ ისარგებლებს პარლამენტის ნდობით და მხარდაჭერით.

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც საინფორმაციო სააგენტოების ცნობებიდან ჩანს, მეამბოხეთა მეთაური პოლკოვნიკი მობუტუ ავიათარება აქტიურ ფაოლ საქმიანობას, ითხოვს ძირი გამოუთხაროს ცენტრალური მთავრობის პოზიციას.

ახლა უკვე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ „გენერალური კომისრების საბჭო“ — ეს მარიონეტი მობუტუს ხელში, რომელიც თავის მხრივ საერთაშორისო იმპერიალიზმის მარიონეტული აგენტია — მკვდრადშობილი აღმოჩნდა და არავითარი პერსპექტივა არა აქვს. ამ პირობებში მობუტუ ცდილობს ხელისუფლების სათავეში დაყენოს მეორე თვითმარქვია ორგანო — ეგრეთწოდებული ილეოს „თათვრი“. ამ მიზნით იგი აწარმოებს პარლამენტის დეპუტატთა მოსყიდვისა და დამინების ფართო კამპანიას და ცდილობს ამერიკული ფულით აიძულოს ისინი უარი უთხრან ლუმუმბას ნდობაზე.

უნდობლობის კოტუმი ცენტრალური მთავრობისადმი მობუტუს ესაპიროება აგრეთვე იმისათვის, რომ მიიღოს ლეოპოლდვილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების სარდლობის თანხმობა ლუმუმბას დაპატიმრებაზე. კონგოდან მიღებული ცნობებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობა უარს არ ეტყვის აჯანყებულებს ამ თხოვნაზე და მხოლოდ ელის ფორმალურ იურიდიულ საბაბს.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგაზეთო იუწყება, მობუტუ, რომელიც ამ ბოლო დრომდე ძალით უშლიდა ხელს დეპუტატებს შეკრებილიყვნენ, „თვითონ მოიწვევს პარლამენტს. როგორც კი დარწმუნდება, რომ უმრავლესობა ლუმუმბას წინააღმდეგია“.

„ერთი კაცი — ერთი ხმა“

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის განცხადება

ლონდონი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ გამოქვეყნებულ განცხადებაში დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური კომიტეტი მოითხოვს რიდეზიისა და ნიასალენდის ფედერაციის ლიკვიდაციას.

„გარედან თავსმოხვეული ფედერალური სისტემის არსებობის შვიდი წლის შემდეგ, სისტემისა, რომელსაც ევროპის უმცირესობა მეთაურობს, აფრიკელები უფრო მეტად, ვიდრე. ოდესმე წინათ, მტკიცედ მოითხოვენ, რომ ბოლო მოეღოს ფედერაციას — ნათქვამია განცხადებაში.

რომ ფედერაციის მისი ახლანდელი ფორმით შენარჩუნება შეუძლებელია, ამას ინგლისის მთავრობის მიერ სპეციალურად შერჩეული მონტკონის კომისიაც კი აღიარებს (რომელმაც ამას წინათ გამოაქვეყნა მოხსენება ფედერაციაში მდგომარეობის შესახებ — . რედ.).

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ფედერაცია სარგებლობას ვერ მოუტანს ვერც აფრიკელებს, ვერც ინგლისელ ხალხს, რადგან იგი არის მილიონობით აფრიკელის ექსპლოატაციის გაძლიერებისა და ევროპელი უმცირესობის ბატონობის განმტკიცების საშუალება.

კომუნისტური პარტია, ნათქვამია განცხადებაში, ინგლისის ერთადერთი პარტიაა, რომელიც თავიდანვე იბრძოდა ფედერაციის დანაშაულებრივი პროექტის წინააღმდეგ. კომპარტიას მიაჩნია, რომ „ახლანდელი კრიზისი ცენტრალურ აფრიკაში შეიძლება მხოლოდ შემდეგი გზით გადაიჭრას: ბოლო მოეღოს ფედერაციას დაუყოვნებლივ 1953 წლის კანონის გაუქმების გზით; დაწესდეს ყოველი ტერიტორიის ფარგლებში პრინციპი „ერთი კაცი — ერთი ხმა“; გაუქმდეს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმა“.

შეხვედრაზე ბადენში

14 ოქტომბერს ჟურნალისტთა მეორე მსოფლიო შეხვედრაზე, რომელიც 18-22 ოქტომბერს გაიმართება ბადენში (ავსტრია), მოსკოვიდან გაემგზავრა საბჭოთა ჟურნალისტების დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან საბჭოთა ჟურნალისტების კავშირის გამგეობის მდივნები: დ. ფ. კრამინოვი (ჟურნალის „ზარუბეჟომ“ რედაქტორი — დელეგაციის მეთაური), ბ. ს. ბურკოვი (გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე), ა. გელდოეკი (თურქმენეთის დეპუტათა საგაგნტოს დიოექტორი), პ. პ. ეროფეევი, მ. ს. კუტტიეინი (გაზეთ „ლენინგრადსკაია პრავდის“ რედაქტორი), ი. მ. პედანიუკი (გაზეთ „ოდიანსკაია უკრაინის“ რედაქტორი), ი. ი. ჩხეკიშვილი (გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი), საბჭოთა ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრები ა. ა. ვიშნევსკი (საკდესი), ი. პ. ვორონოვი (გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ მთავარი რედაქტორი), ა. ვ. რომანოვი (ჟურნალი „სოვეტსკაია პეჩატ“), ალეკეთე სრულიად საკავშირო რადიოკომიტეტის მომბოლეელი ლ. მ. ბოროზდინა, გაზეთ „ტიესას“ რედაქტორი ბ. ლ. ზიმახასი, გაზეთ „იზვესტიის“ სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებელთა განყოფილების რედაქტორის მოადგილე ე. ფ. ივანოვი, გაზეთ „ეოლექსკაია კომუნნის“ რედაქტორი ნ. ს. სტრახოვი. (საკდესი).



ამერიკული ორდენი — ჰიგლერელ გენერალს

ბონი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ბუნდესვერის მთავარი ინსპექტორი ყოფილი ჰიტლერელი გენერალი პოიზინგერი დაჯილდოებულია ამერიკის ერთ-ერთი უმაღლესი ორდენით. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ჰოიზინგერი დაჯილდოდა „თვალსაჩინო დამსახურებისათვის ბუნდესვერის შექმნაში“.

როგორც დპა-ს საგაზეთო ხაზგასმით აღნიშნავს, ჰოიზინგერი პირველი გერმანელი ოფიცერია, რომელიც დაჯილდოებულია ამერიკის ერთ-ერთი უმაღლესი ორდენით.

მღელვარება ლეოპოლდვილსა და ტოკიოში

ლონდონი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგაზეთოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, დღეს იქ გაიმართა ქალაქის მცხოვრებთა მასობრივი დემონსტრაცია პატრის ლუმუმბას კანონიერი მთავრობის მხარდასაჭერად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიის შენობასთან დემონსტრანტებს თავს დაესხნენ მობუტუს შეიარაღებული ჯარისკაცები. მათ აამოქმედეს ხელკეტები და კონდახები და ცდილობდნენ გაფანტათ დემონსტრანტები; დაჭრეს 12 კაცი.

ტოკიო, 14 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც იაპონის რადიო იუწყება, დღეს საღამოს ტოკიოს „ხიბიას“ პარკში გაიმართა უკვე მესამე საპროტესტო მიტინგი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის ასანუმას მოკვლის წინააღმდეგ. მიტინგი პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ მოაწყო.

მიტინგზე მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ გადადგეს იკედას კაბინეტი და პასუხისგებლობა მისცენ ის პირები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით მკვლელობაში.

მიტინგის შემდეგ დედაქალაქის ქუჩებში გაიმართა დემონსტრაცია.

„ეროვნული ოლიმპიადა“

საბჭოთა მოჭადრაკეებიდან. უცხოელი მოჭადრაკეებიდანაც კი, ვინ არ იცის მისამართი: მოსკოვი, გოგოლის ბულვარი, 14. ეს არის სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის შენობა — მსოფლიო საჭადრაკო კულტურის ცენტრი. გასაგებია, რომ იშვიათი მოვლენა არ არის „წაწყდეს“ აქ გროსმაისტერს: ხსენებული ხომ ათი გროსმაისტერი ცხოვრობს — ჩვენი გროსმაისტერების ნახვაარი.

მაგრამ ამ დღეებში კლუბი პირდაპირ სავსე იყო მოჭადრაკეებით, გროსმაისტერებით.

აქ, დილაობით გროსმაისტერთა ოთახში, რომელსაც მ. ი. ბოგორინის პორტრეტი ამკობს, მიმდინარეობდა ჩვენი ოლიმპიელების თეორიული მეცადინეობა. ეს რაღაც უკანასკნელი რეპეტიციის მსგავსი იყო ლაიპციგის წინ. მწვრთნელების ბოლესლავსკისა და გელერის ხელმძღვანელობით არჩევდნენ ყველაზე „მოდურ“ ვარიანტებს.

ჩვენი გუნდი ყოველთვის გამოდის როგორც ერთსულოვანი კოლექტივი, ამიტომ აქ არ შეიძლება იყოს არავითარი საიდუმლოებანი. გროსმაისტერები ერთმანეთს უჩვენებენ ხსვადასხვა იდეასა და სიახლეს. ითვალისწინებენ რა, რომ ტალ-ბოტვინიკის მატჩ-რევანში ისე შორს აღარ არის, ამ უდიდესი შეჯიბრების მონაწილეებს ჰყავთ თავიანთი პერსონალური მწვრთნელები . ტალს ჰყავს მიხი ბუდმიდ მწვრთნელი ა. კობლენცი. ოფიციალურად ცნობილი არ არის, რომ ბოტვინიკი „გაეყარა“ თავის მწვრთნელს გ. გოლდბერგს. მაგრამ საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ბოტვინიკი ამ დღეებში სწვრთნელ პარტნერს ოტატ ს. ფურმანთან თამაშობდა. კობლენცი და ფურმანი ლაიპციგში გაემგზავრნენ, როგორც „მეთვალყურეები“. ნაშნავს თუ არა ეს, რომ ბოტვინიკმა და ფურმანმა გააფორმეს ახალი „საჭადრაკო ქორწინება“ — შემდეგში გამოირკვევა.

ჩვენი ოლიმპიელებიდან საწვრთნელ შეკრებაზე მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონს მ. ტალს შეაგვიანდა. მას რიგაში შეაჯავნდა ფრიად სპატიო მიზეზის გამო. ხაქმე ის არის, რომ ტალს მიეკუთვნა ახალი სპპატიო სახელწოდება, სახელდობრ... მამის სახელწოდებას მასზე სამი წლით უფროსმა კოლეგამ ბორის სპასკიმ ამას წინათ „მოიპოვა“ ეს წოდება. რა სწრაფად გარბის დრო! ჩვენს ამ ორ ნიჭიერ ახალგაზრდას ხომ ჯერ სულ ცოტა ხნის წინათ ეძახდნენ ბორენკას და მიშენკას, ახლა კი ისინი დარბაისელ მამებად გვევლინებიან.

კიდევ ერთი ფაქტი მოწმობს იმას, რომ ტალი და სპასკი დავუყაცდნენ: ორივემ თამბაქოს წევა დაიწყო. თუ პირველი ფაქტი მისასალმებელია, მეორე სულ ზედმეტია.

ეი ვიქტორ კორჩნოი და მარკ ტაიმანოვი. ისინი დიდი ხანი არ არის, რაც დაფნის გვირგვინით შემკობილნი დაბრუნდნენ შორეული ცხელი არგენტინიდან. ვიქტორ კორჩნოი მეთაურობდა ლენინგრადის ნაკრებ გუნდს სსრ კავშირის გუნდურ პირველობაზე, რომელიც აგრეთვე მიმდინარეობდა გოგოლის ბულვარზე, 14 ნოემბერში. კორჩნოი, ბუენოს-აირესის გმირი, დღემდე იღებს მილოცვებს ბრწყინვალე წარმატებისათვის მიმდინარე წლის უდიდეს ტურნირში.

როგორც ცნობილია, ბუენოს-აირესის ტურნირში მონაწილეობდა 14 გროსმაისტერი და 6 ოსტატი. თუ სსრ კავშირის ჩემპიონმა ამერიკელ გროსმაისტერ ს. რეშევსკისთან ერთად გაინაწილა პირველი და მეორე ადგილი, ეს საბჭოთა მოჭადრაკეებისათვის არც თუ დიდი მოულოდნელობაა—პირიქით, შედეგი ჩვენ კანონზომიერად მიგვაჩნია. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონს ბობი ფიშერს ტურნირის შედეგი „სენსაციური“ ჰგონია.

საქმე ის არის, რომ ბუენოს-აირესში ჩასვლის შემდეგ ბობმა „თავმდაბლად“ განაცხადა, მე ყველაზე ახალგაზრდა, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე ძლიერი ვარო. ტურნირის მონაწილეებს არ უარუყვიათ პირველი: ბობი მართლაც ყველაზე ახალგაზრდა იყო და არის, მაგრამ იმ საკითხში, ბობი ყველაზე ძლიერია თუ არა, მონაწილეებმა ფრიად არსებითი შესწორება შეიტანეს! „ყველაზე ძლიერი“ ფაქტიურად აღმოჩნდა მე-13-16 ადგილზე, სატურნირო ცხრილის ბოლოში. ნიუ-იორკში დაბრუნებისას ბობი ფიშერს ალბათ „ზედმეტი ბაგაუის“ საფასურის გადახდა დასჭირდა, რამდენადაც მან ბუენოს-აირესიდან 5 ნული წაიღო.

1960 წელი წარუმატებელი აღმოჩნდა საჭადრაკო მოსკოვისათვის. მიხეილ ტალის „მიზეზით“ მსოფლიოს ჩემპიონის რეზიდენცია რიგა გახდა.

ამას წინათ მოსკოვის გუნდს ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ორთაბრძოლა მოუხდა ლენინგრადის გუნდთან, რომელიც აღმავლობით თამაშობდა. მეშვიდე ტურში მოსკოვის გუნდმა, რომელშიც შედიოდნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორიც არიან სმისლოვი, პეტროსიანი, ბრონშტეინი, კოტოვი, დამჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადელთა წინააღმდეგ. მაგრამ ჩემპიონები მაინც ვერ გახდნენ. ამ მატჩში „თავი გამოიჩინა“ მსოფლიოს ჩემპიონმა ე. ბოკოვამ, რომელმაც ვერ შეამჩნია შამათი ერთ სვლაში ლ. ვოლპერტის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის გუნდური პირველობა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როცა ჩვენი ჭადრაკის ვარსკვლავები ალაგებდნენ ჩემოდნებს და მატარებლით ლაიპციგში გაემგზავრნენ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამ დიდ ქალაქში დღეს იწყება XIV საჭადრაკო ოლიმპიადა. ამასწინანდელი მეტოქეები მატჩში — ბოტვინიკი და ტალი ამჯერად ერთმანეთის გვერდით ისხდებიან. თავის პრაქტიკაში პირველად საბჭოთა მოჭადრაკეების ლიდერი ბოტვინიკი მეორე დაფაზე ითამაშებს. განსაცვიფრებელი ნახტომი გააკეთა ტალმა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. XIII ოლიმპიადაზე მიუხტნენში ტალი სათადარიგო მონაწილე იყო. დღეს კი იგი პირველი დაფაა სსრ კავშირის ნაკრებში და საერთოდ მსოფლიოს პრემიერია ჭადრაკში.

უნდა ითქვას, რომ სსრ კავშირის ნაკრები გუნდი იმდენად ძლიერია, რომ ყოველი მონაწილე შეიძლება მიუჯდეს როგორც პირველ, ისე მეოთხე დაფას, და ოლიმპიადის შედეგი იგივე იქნება — პირველ ადგილს, რა თქმა უნდა, სსრ კავშირის გუნდი დაიკავებს. ამაში შეიძლება ეჭვი ეპარებოდეთ, ოღონდ ეს ეჭვი ადვილად ... შეიძლება გუნდმა პირველი ადგილი არ დაიკავოს, რაც მართლაც ... ჩემპიონი ... ოლიმპიადაზე მონაწილეობა!

მეორე ვინ იქნება, ამის გამოცნობა უკვე ძნელია. კარგი შანსები აქვთ იუგოსლავიას, არგენტინას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, უნგრეთს.

რამდენიმე სიტყვა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის შესახებ. პირველად როდი, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი საჭადრაკო საქმეებში ერევა. ამჯერად სახელმწიფო დეპარტამენტმა თავაზიანად „არ ურჩია“ ამერიკელ მოჭადრაკეებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წასვლა. მაგრამ გამოჩნდნენ სმები, ამასთან ძლიერი ხმები, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს სახელმწიფო დეპარტამენტის „რჩევის“ წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი უკანასკნელი იყო 41 მონაწილიდან (უნდა ითქვას, რომ ამ მბრიჯლაიპციგის ოლიმპიადა სარეკორდოა), რომელმაც თავისი განაცხადი გამოგზავნა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელი მოჭადრაკეების გამარჯვება სახელმწიფო დეპარტამენტზე XIV ოლიმპიადის პირველი დადებითი შედეგი იყო.

ლაიპციგის ოლიმპიადა დიდ საჭადრაკო დღესასწაულად გადაიქცევა. უფლება არა მაქვს ვუფლალატო მკითხველს, და ამიტომ მეც მივდივარ იქ, როგორც გულშემატკივარი ტურისტი და შეთავსებით როგორც კორესპონდენტი.

იქიდან უფრო დაწვრილებითს ცნობებს მოგაწოდებთ ოლიმპიადის ამბებზე. დღეისათვის სიამოვნებით მივეხალმები „კომუნისტის“ მკითხველებს. ოლიმპიადის შესახებ შეიძლებათ არ იფლეგოთ. საკუთარ თავს გაძლევთ მოსაჭრელად, თუ ყველაფერი წესრიგზე არ იქნება. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონის თასი, რომელიც აგრეთვე წავიდა ლაიპციგში, უეჭველია დაბრუნდება გოგოლის ბულვარზე, 14 ნომერში.

ლენინგრადის გუნდი — ჩემპიონი

მოსკოვი. 15 ოქტომბერი. დღეს აქ პოეწყო საკავშირო საჭადრაკო გუნდური პირველობის გათამაშების უკანასკნელ ტურში გადადებული პარტიების დამთავრება.

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოსა და რსფსრ გუნდებს მატჩში გადადებული იყო მხოლოდ ერთი — ჭიკაიაძისა და ტიხომიროვას პარტია. ბრძოლის განახლებისას, ქაკაბაძემ კარგად გამოიყენა მატერიალური და პოზიციური უპირატესობა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

ამრიგად, რსფსრ და საქართველოს გუნდების შეხვედრა დამთავრდა 5:5.

ლენინგრადელებმა ჩემპიონატი 52 ქულით დაამთავრეს. მათი მთავარი მეტოქე იყო მოსკოვის გუნდი, რომელსაც ბალორუსიის გუნდიდან გადადებული პარტიების მოგებით შანსები ჰქონდა გაესწროო ლიდერისათვის. მაგრამ მოსკოველებმა ვერ შესძლეს სპორი ქულების შეგროვება და მატჩი დამთავრეს 6,5:3,5.

როგორია პირველობის გათამაშების საბოლოო შედეგები?

პირველი ადგილი და სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონის წოდება ჭადრაკში მოიპოვა ლენინგრადის ძლიერმა კოლექტივმა (52 ქულა). მეორე ადგილზე გამოვიდნენ მოსკოველები, რომლებმაც 51,5 ქულა შეაგროვეს. მესამე ადგილი დაიკავეს რსფსრ მოჭადრაკეებმა (47 ქულა).

ლატვიის გუნდი 39,5 ქულით მე-4 ადგილზე გამოვიდა, უკრაინის გუნდი 39 ქულით — მეხუთეზე, ესტონეთის გუნდი 38,5 ქულით — მეექვსეზე. მეშვიდე მეოვე ადგილები (33,5 ქულა) გაიყვეს საქართველოსა და ბელორუსიის მოჭადრაკეთა კოლექტივებმა. მეცხრე ადგილი დაიკავეს აზერბაიჯანელებმა (25 ქულა).

საქართველოს მოჭადრაკე ქალებმა ამ შეხვედრაში თავიანთ გუნდს 24 შესაძლებლიდან 15,5 ქულა შესძინეს, ხოლო ვაჟებმა — 56 შესაძლებლიდან მხოლოდ 18 ქულა. ყველაზე უკეთესი შედეგი ქალთა შორის აქვს ოსტატ გაფრინდაშვილს. მან 8-დან 7,5 ქულა შეაგროვა.

ჩემპიონატი საზეიმოდ დაიხურა, გამარჯვებულებს გადაეცა ჯილდოები.

ნონა გაფრინდაშვილის გრწყინვალე შედეგი

ფეხგურთი

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 15 ოქტომბერი. დღეს დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი ასპარეზობა ფეხბურთში პირველი ექვსი ადგილისათვის მბრძოლი კოლექტივებისათვის. თამაშობდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და დონის როსტოვის სასპორტო კლუბის გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1.

ბაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მესამე ფინალური ჯგუფის გუნდების მორიგი შეხვედრები ფეხბურთში, რომლებიც XIII-XVIII ადგილებისათვის იბრძვიან. კუიბიშევში ადგილობრივმა „კრილია სოვეტოვმა“ ანგარიშით 3:0 დაამარცხა ხარკოვის „ავანგარდი“, ალმა-ატის „კაირატმა“ მოუგო სტალინოს „შახტიორს“ 1:0, ლენინგრადის „ზენიტისა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ მატჩი დამთავრდა „პახტაკორის“ გამარჯვებით 3:2.

დამთავრდა მეოთხე ფინალური ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა. აქ მე-19 ადგილი 7 ქულით დაიკავა ტალინის „კალევმა“, მე-20 ადგილი — ვილნიუსის „სპარტაკმა“ (6 ქულა), 21-ე ადგილი — ბაქოს „ნეფტიანიკმა“ (6 ქულა), უკანასკნელი 22-ე ადგილი — კიშინიოვის „მოლდოვამ“ (5 ქულა).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲢᲔᲑᲖᲔ

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის კორტებზე რამდენიმე დღეა გრძელდება სსრ კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება ჩოგბურთში.

პირველ ქვეჯგუფში თავიდანვე ცხადი გახდა, რომ აქ დინამოელებს ძლიერი მეტოქენი არა ჰყავდათ. მათ დიდი ანგარიშით დაამარცხეს „ლოკომოტივის“, „კალევის“ და „ტორედის“ გუნდები და ფინალში ადვილად გავიდნენ.

სამაგიეროდ შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა შეხვედრები მეორე ქვეჯგუფში „ბურევესტნიკისა“ და „სპარტაკის“ ჩოგბურთელთა შორის, საიდან გამარჯვებულები გამოვიდნენ სპარტაკელები და დასკვნით შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის პირველობას ვათამაშებენ ფინალში გაკიდნენ „დინამოს“ და „სპარტაკის“ გუნდები.

დღეს გაიმართება გადამწყვეტი შეხვედრები.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

17 და 18 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვლადები მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში ხანმოკლე წვიმა, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერადმდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 7-12, დღისით 20-25 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 2-7, დღისით 13-17 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნტი, ცვალებადი მიმართულების სუსტი, მტკვრის ხეობაში დროგამოშვებით ზომიერი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 7-12, დღისით 18-23, მთიან რაიონებში ღამით 1-6, დღისით 12-17 გრადუსი.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

რეალური პოზიცია

ტოკიო, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის სააგენტო, რომელიც ცდილობდა ნ. ს. ხრუშჩოვის მოლვაწეობა შეეზღუდა მანჭეტენის ფარგლებით, თვითონ აღმოჩნდა იზოლაციაში, წერს ნიუ-იორკიდან გადმოცემულ ცნობაში იაპონის გავლენიანი გაზეთის „იომიურის“ კორესპონდენტი, რომელიც აჯამებს საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოლვაწეობის შედეგებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე. ქუჩები, სადაც ხრუშჩოვი ჩერდებოდა. მუდამ სავსე იყო კორესპონდენტთა არმიით, ხოლო მისი პრეს-კონფერენციები და ტელევიზიით გამოსვლა გადაქცა უმნიშვნელოვანეს ახალ ამბებად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მთელ მსოფლიოში. კორესპონდენტი ისტორიულს უწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიას და აღნიშნავს, რომ ამას იგი უნდა უმადლოდეს პრემიერ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ შეტანილ წინადადებებს.

გაზეთი „ასახი“ ანალიზს უკეთებს სესიაზე განიარაღების პრობლემის განხილვას და ახასიათებს განიარაღების ახალ საბჭოთა გეგმას როგორც „კომპრომისულ და რეალურ პოზიციას“. აღნიშნავს რა, რომ განიარაღების ახალ გეგმას საფუძვლად უდევს საბჭოთა მთავრობის შარშანდელი წინადადებანი ოთხი წლის განმავლობაში სრული და საყოველთაო განიარაღების განხორციელების შესახებ, „ასახი“ წერს, რომ ეს მსოფლიოს ბევრი ქვეყნის უთუო სურვილია. დასავლეთის მხარემ, აცხადებს გაზეთი, სერიოზულად უნდა შეისწავლოს ეს წინადადებანი.

მოითხოვენ იკედას კაბინეტის გადადგომას

ტოკიო, 14 ოქტომბერი. (საკდესი). აქ გაიმართა სოციალისტური პარტიის, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის და დემოკრატიული სოციალიზმის პარტიის ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის ასანუმას მოკვლასთან დაკავშირებით სოციალისტებმა მოითხოვეს იკედას მთავრობის გადადგომა. ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ უარი თქვა მიეღო ეს მოთხოვნა. კაბინეტის გენერალურმა მდივანმა ოჩიერამ განაცხადა, რომ მთავრობა დასჯერდება მხოლოდ საზოგადოებრივი უშიშროების საქმეთა კომისიის უფროსის გადადგომას.

ასანუმას მკვლელობასთან და იაპონელი ხალხის საყოველთაო აღშფოთებასთან დაკავშირებთან, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ახლა საზოგადოებრივი კრიტიკის ცენტრში აღმოჩნდა, ცდილობს აგრეთვე გადასინჯოს პარლამენტის საყოველთაო არჩევნების თარიღი და გადადოს იგი უფრო გვიანი დროისათვის.

პრემიერ-მინისტრ დეგრეს გამოსვლა

პარიზი, 14 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბარანოვი იუწყება: საფრანგეთის ეროვნული კრება შეუდგა ხუთწლიანი სამხედრო პროგრამის კანონპროექტის განხილვას, რომელიც ითვალისწინებს ეგრეთწოდებული „ატომური დარტყმითი ძალის“ შექმნას, ესე იგი საფრანგეთის შეიარაღებული ძალების აღჭურვას ატომური იარაღით. ამ ძვირადღირებული პროგრამის განსახორციელებლად, რომლის იდეა გენერალმა დე გოლმა წამოაყენა, ნავარაუდევია 1960-1961 წლებში დაიხარჯოს 3116 მილიარდი ძველი ფრანკი.

თუმცა კამათი ამ საკითხის გამო 18 ოქტომბერს დაიწყება, მაგრამ გუშინ პრემიერ-მინისტრმა დებრემ ეროვნულ კრებაში წარმოთქვა სიტყვა და, დაიცვა სამხედრო პროგრამა, რომელიც იწვევს არა მარტო საფრანგეთის დემოკრატიული ძალების, არამედ პარლამენტში მთავრობის უმრავლესობის პარტიათა მკვეთრ ოპოზიციას.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული კრების საფინანსო კომისიამ „ატომური დარტყმითი ძალის“ შექმნის კანონპროექტი მხოლოდ ერთი ხმის უმრავლესობით მოიწონა. ეროვნული თავდაცვის კომისიაში კანონპროექტ